საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კოვიდ19-ის გავლენა საერთაშორისო სისტემაზე“ სტატიების კრებული

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2021 წელი. თბილისი.

კოვიდ -19-ის ზეგავლენა პოლიტიკაზე. როგორ უწყობს ხელს კორონავირუსი ავტორიტარიზმის გაძლიერებას მსოფლიოში.

ვალერი მოდებაძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია თუ როგორ შეუწყო ხელი კორონავირუსის პანდემიამ ავტორიტარიზმის აღზევებას მსოფლიოში. „მცირე მთავრობის“ მომხრეები შიშობენ, რომ კორონავირუსის პანდემია გამოიწვევს ხელისუფლების ძალაუფლების უპრეცედენტო გაზრდას. ხელისუფლებამ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს შექმნილი სიტუაცია და უამრავი შეზღუდვები დაუწესოს ხალხს. პანდემიის შეჩერების მიზნით მასიურად იზღუდება ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები როგორიცაა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და ა. შ. პანდემიის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიზღუდა სამოქალაქო სივრცე და ბევრ ქვეყანაში წარსულს ჩაბარდა პრესის თავისუფლება. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საგანგებო მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს უქმნის ხელისუფლებას რომ შეზღუდოს ადამიანის უფლებები და ტოტალური კონტროლი დააწესოს საზოგადოებაზე პანდემიის პრევენციის მიზნით.

შესავალი

კორონავირუსის პანდემიამ თავისებური დაღი დაასვა ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის პოლიტიკასაც. კოვიდ-19-მა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. კორონავირუსის სწრაფი გავრცელების გამო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები დაფიქსირდა: პანდემიის სწრაფი გავრცელების გამო ზოგიერთ

ქვეყანაში გადაიდო რჩევნები, ზოგან შეჩერდა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა, ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი დაინფიცირების გამო იძულებული შეიქმნა შეეჩერებინა პოლიტიკური საქმიანობა და დროებით თვითიზოლაციაში აღმოჩნდა.

კორონავირუსის პანდემიამ დიდი ზეწოლა მოახდინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობაზე, რომ სწრაფად და დროულად განემუხტათ შექმნილი კრიზისული სიტუაცია და სწრაფი ზომები გაეტარებინათ დაავადების შესაჩერებლად. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების რეაგირება პანდემიაზე განსხვავებული იყო და მათ სხვადასხვა სტრატეგია აირჩიეს კრიზისის შესაჩერებლად. ზოგიერთმა ქვეყანამ სწრაფად შემოიღო მკაცრი ლოკდაუნის პოლიტიკა, რომ რაც შეიძლება მინიმუმამდე დაეყვანათ კორონავირუსით დაინფიცირებულთა რაოდენობა. ზოგან კი შედარებით რბილი პოლიტიკა გატარდა, რომ მაქსიმალურად შეემცირებინათ პანდემიისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი და დანაკარგი (Helios Herrera, Max Konradt, Guillermo Ordoñez, Christoph Trebesch, 2020) ფაქტიურად კორონავირუსის პანდემიამ სახემწიფოები დილემის წინაშე დააყენა: თითოეული სახელმწიფოს მთავრობას უნდა მიეღო ძალზე მტკივნეული გადაწყვეტილება თუ რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის მოქალაქეების ჯანმრთელობა თუ ეკონომიკური პროგრესი. პანდემიის გავრცელებისთანავე სხვადასხვა სახელმწიფოს ლიდერები აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ თუ მათ გადაჭარბებული რეაქცია ექნებოდათ კოვიდ-19-ის საფრთხეზე და ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს დააწესებდნენ, მაშინ ეს პროცესი გამოიწვევდა გლობალური ეკონომიკის მკვეთრ შემცირებას.

როგორ უწყობს ხელს კორონავირუსის პანდემია ხელისუფლების ძალაუბლების უპრეცედენტო გაზრდას

COVID-19- მა თანდათანობით სახელმწიფოს წინაშე არსებული ყველა სხვა სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა გადაფარა. უმუშევრობა, უსახლკარობა, სიღარიბე და სხვა სოციალური პრობლემები მეორეხარისხოვანი საკითხი გახდა და მთავარი თავისტკივილი პოლიტიკოსებისათვის პანდემიის შეჩერება აღმოჩნდა.

კორონავირუსის პანდემიამ ხელი შეუწყო სახელმწიფო ძალაუფლების უპრეცედენტო გაფართოებას და გაზრდას. „მცირე მთავრობის“ მომხრეები შიშობენ, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ სახლემწიფო უარს იტყვის მის ხელთ არსებული უზარმაზარი ძალაუფლების დათმობაზე, როგორც ეს ისტორიულად ხშირად ხდებოდა მსოფლიოში. დაახლოებით 84-მა სახელმწიფომ პანდემიის შესაჩერებლად საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რის გამოც გაიზარდა შიში იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობამ შეიძლება ბოროტად გამიყენოს მის ხელთ არსებული ძალაუფლება. ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობამ სათავისოდ გამოიყენა შექმნილი კრიზისი და შეზღუდა პრესის თავისუფლება. საერთაშორისო ორგანიზაცია "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ამტკიცებს, რომ 38-მა ქვეყანამ შეზღუდა პრესის თავისუფლება, მას შემდეგ რაც გავრცელდა კორონავირუსის პანდემია.

პანდემიის გავრცელებამ ავტორიტარიზმის აღზევებას შეუწყო ხელი, ვინაიდან სხვადასხვა პოლიტიკურ რეჟიმებს შეუქმნა გამამართლებელი გარემოება სამოქალაქო სივრცის შესამცირებლად და ადამიანის უფლებების შესაზღუდად. პანდემიის დაწყების შემდეგ, დემოკრატია, პლურალიზმი და სამოქალაქო საზოგადოება განიცდიან ზეწოლას, ხოლო სამოქალაქო თავისუფლებები და ადამიანის უფლებები მკვეთრად იზღუდება. Freedom House–ის მონაცემებით, კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, 80 ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობა გაუარესდა. სტატისტუკური მონაცემების თანახმად 2019 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 40% რეპრესიულ რეჟიმებში ცხოვრობდა. მანამდე კი ეს რიცხვი მხოლოდ 19% იყო. ავტორიტარული ლიდერები მიზანმიმართულად იყენებენ COVID-19-ის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას, როგორც საშუალებას და პოლიტიკურ ბერკეტს პლურალიზმის და სამოქალაქო სივრცის შესამცირებლად. ეს ტენდენცია სწრაფად ვრცელდება არა მხოლოდ ავტორიტარულ რეჟიმებში, არამედ დემოკრატიულ ქვეყნებშიც. გლობალური დემოკრატიული სივრცე ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად მცირდება, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც შემოიღეს

სხვადასხვა სახის შეზღუდვები კორონავირუსის პანდემიის გამო (Netherlands Helsinki Committee, 2020).

ავტორიტარულ რეჟიმებს მიეცათ შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ გაზარდონ თავიანთი ძალაუფლება და უამრავი შეზღუდვები დაუწესონ ხალხს. პანდემია მათ უქმნის ხელსაყრელ პირობებს, რომ აკრძალონ მასობრივი საპროტესტო აქციები, გადადონ ან დროებით გააუქმონ არჩევნები, შემოიღონ იზოლაციისა და კარანტინის მკაცრი წესები, რომელიც არ მისცემს საშუალებას ოპოზიციის ლიდერებს, რომ გამოვიდნენ ქუჩაში და გააკრიტიკონ მმართველი რეჟიმი. ავტორიტარული რეჟიმის წარმომდგენლებს ეძლევათ დიდი შესაძლებლობა მკაცრი რეგულაციებისა და შეზღუდვების საშუალებით თავიანთ ტოტალურ კონტროლს დაუქვემდებარონ ცხოვრების ყველა სფერო და მკვეთრად შეზღუდონ მოქალაქეების თავისუფლება.

პანდემიის დროს გასაკუთრებით გახშირდა ავტორიტარულ რეჟიმების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანებზე მასიური თვალთვალისათვის. თვალთვალისა და მიყურადების საშუალებების აქტიური გამოყენება და ზოგადად სხვადასხვა ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად აქტიურად დაიწყეს ავტოტირარულმა რეჟიმებმა კორონავირუსის პანდემიის პრევენციის მიზნით. ასეთი რეჟიმები რა თქმა უნდა პანდემიას თავისი ძალაუფლების გასაზრდელად იყენებენ და ცდილობენ ტოტალური კონტროლის დაწესებას მოქალაქეებზე. მასიურად იზღუდება ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. განსაკუთრებით ჩინეთმა და აზიის ქვეყნებმა შეძლეს ელექტრონული თვალთვალის საშუალებით კორონავირუსის პანდემიის წარმატებით მართვა და გაკონტროლება, რაც რა თქმა უნდა განხორციელდა ადამიანის უფლებების შეზღუდვისა და უხეში დარღვევების ხარჯზე (გიორგი ანთაძე & სოფია ბაბუნაშვილი, 2020).

სულ უფრო იზრდება საფრთხე, რომ რაც უფრო აქტიურ ფაზაში შევა კორონავირუსის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა, მით უფრო მეტი სახლემწიფოები დაიწყებენ სადაზვერვო და სათვალთვალო საშუალებების გამოყენებას მოსახლეობის მონიტორინგის და ვირუსის გავრცელების შეჩერების მიზნით. თვალთვალისა და მიყურადების საშუალებების აქტიური გამოყენების გამო შეიძლება მკვეთრად შეიზღუდოს მომავალში ადამიანის თავისუფლება და ხელისუფლებას მიეცეს ინდივიდის პირად ცხოვრებაში ინტერვენციის უფრო მეტი შესაძლებლობა.

ფართომასშტაბიანი კრიზისის დროს საზოგადოებაში ჩნდება ძლიერ ლიდერზე მოთხოვნა, რომელიც გაატარებს მკაცრს ზომებს და თავიდან ააცილებს ერს მომაკვდინებელ საფრთხეს. ასეთ ფორმსმაჟორულ ვითარებაში მოსახლეობა იძულებულია მხარი დაუჭიროს მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ დაწესებულ მკაცრ შეზღუდვებს და რეგულაციებს იმ იმედით, რომ პანდემია შემცირდება და ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ისევე როგორც საზოგადოება, ოპოზიციაც ჩოქბჯენშია და მხარს უჭერს მმართველი ძალის მიერ გატარებულ პოლიტიკას, ნაკლებად აკრიტიკებს და უპირისპირდება მას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური პროცესი მინიმუმამდეა დაყვანილი ახალი საფრთხის არსებობის გამო. ოპოზიციური პარტიები მხარს უჭერენ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას და იზიარებენ საზოგადოებაში არსებულ განწყობას, რომ ყველა პარტიამ ერთმანეთს შორის შუღლი და კონფლიქტი უნდა დაივიწყოს და საერთო პრობლემის მოგვარებაზე იფიქროს. ასეთ ვითარებაში ოპოზიციისგან საზოგადოება მოელის კონფორმიზმს და მორჩილებას, რაც ხელისუფლების წისქვილზე ასხავს წყალს. ამრიგად, კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი პოლიტიკურად მომგებიანია ხელისუფლების სათავეში მყოფი ნებისმიერი ძალისათვის.

ამგვარი ფართომასშტაბიანი კრიზისის დროს საზოგადოება მხარს უჭერს მმართველ პოლიტიკურ ძალას და მისგან მოელის კრიზისის განმუხტვას. ხელისუფლების ლეგიტიმურობა იზრდება და მას ეძლევა საშუალება მოსახლეობის

კონსოლიდაცია მოახდინოს საერთო საფთხის დასაძლევად. ასეთი კრიზისის დროს ოპოზიციური პარტიებისაგან საზოგადოება მოელის რომ გვერდში ამოუდგეს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მართვის სადავეები უჭირავს ხელში, რომ ერთობლივად იქნას დაძლეული პანდემიით გამოწვეული სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემები.

საზოგადოებაში სულ უფრო ჩნდება მოთხოვნა „ყოვლისშემძლე“ სახელმწიფოზე, რომელიც არსებულ კრიზის განმუხტავს და მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. საზოგადოება საბოლოო ჯამში მიდის იმ დასკვნამდე, რომ პანდემიების და გლობალური კრიზისების დაძლევა, მხოლოდ ძლიერი ხელისუფლების პირობებში არის შესაძლებელი. ძლიერი ხელისუფლების მომხრეებს ხშირად ისეთი ავტოკრატიული სახელმწიფოს მაგალითი მოჰყავთ როგორიც ჩინეთია, სადაც ხელისუფლებამ მკაცრი ზომების მეშვეობით შეძლო პანდემიის შეჩერება.

ამგვარი პოლიტიკური წყობა შეიძლება არ იყოს მოსახლეობის გაცნობიერებული არჩევანი, ვინაიდან არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანის ინტერესებში არ შედის თავისუფლების დაკარგვა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია რომ შექმნილი მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევის მიზნით, ხალხი იძულებული შეიქმნას, რომ დათმოს თავისუფლების რაღაც ნაწილი და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით ნებაყოფილობით დათანხმდეს „ავტორიტარიზმის პირობებში ცხოვრებას.“ ამგვარი სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის პანდემია და კორონავირუსით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ამჟამად, ხალხის თვალში დემოკრატიული რეჟიმი შეიძლება სუსტად გამოიყურებოდეს, რადგან ლიბერალურმა დემოკრატიებმა სრული კრახი განიცადეს პანდემიასთან ბრძოლის საქმეში, და სწორედ ამიტომ შეიძლება დადგეს საჭიროება ავტორიტარული სახელმწიფოს ფორმირებისა. ჩინეთის მაგალითზე დაყრდნობით დღეს ხდება ასეთი მოსაზრების ფართოდ გავრცელება, რომ თითქოს ავტირტარული რეჟიმი

მმართველობის უფრო წარმატებული ფორმაა, რომელსაც უფრო ეფექტურად შეუძლია პანდემიებთან გამკლავება.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ კაცობრიობის ისტორიას, მაშინ დავინახავთ, რომ საგანგებო მდგომარეობის და გლობალური კრიზისების დროს, პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ქვეყნის მართვის სადავეები უჭირვს ხელში, უფრო მეტი შანსი აქვს რომ გაზარდოს მის ხელთ არსებული ძალაუფლება და დაამყაროს ტოტალური კონტროლი საზოგადოებრივი ხცოვრების ყველა სფეროზე. სწორედ ამიტომ არსებობს საფრთხე, რომ პანდემიის პირობებში ავტორიტარიზმისაკენ მიდრეკილ არაერთ ქვეყნის ლიდერს ექნება მცდელობა, რომ მკაცრი ზომების მეშვეობით და სხვადასხვა შეზღუდვების დაწესებით მართოს საზოგადოება.

დასკვნა

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებამ რადიკალურად შეცვალა სამყარო და თითქმის ყველა სფეროზე მოახდინა ზეგავლენა. ყველა ქვეყნის ლიდერი იძულებული შეიქმნა სწრაფი რეაგირება მოეხდინა შექმნილი კრიზისის განსამუხტავად და მკაცრი ზომები გაეტარებინა პანდემიის შესაჩერებლად. სხვადასხვა სახელმწიფოს ლიდერების მიერ გატარებული ზომები მიზნად ისახავს ვირუსის გავრცელების პრევენციას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და ეკონომიკის გადარჩენას. თუმცა მკაცრი ზომების მიღება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შეიძლება საჭირო იყოს არსებული კრიზისის მოსაგვარებლად, არსებობს რისკი იმისა, რომ მათ შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ დემოკრატიის განვითარებაზე მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. სხვადასხვა სახის შეზღუდვების დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორიტარიზმის აღზევება მსოფლიოში და დემოკრატიული ღირებულებებისა და ნორმების ფეხქვეშ გათელვა. არსებობს სერიოზული საფრხე იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები სათავისოდ გამოიყენებენ შექმნილ სიტუაციას, შეეცდებიან თავიანთი ძალაუფლების გაზრდას, ადამიანის უფლებების და დემოკრატიული ნორმების შეკვეცის ხარჯზე. პანდემია

ხელსაყრელ პირობებს უქმნის ავგორიტარულ ლიდერებს და დიქტატორებს, რომ კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი ძალაუფლება და ტოტალური კონტროლის ქვეშ მოაქციონ ცხოვრების ყველა სფერო.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საგანგებო მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს უქმნის იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც მართვის სადავეები აქვთ ხელში, რომ გააძლიერონ თვალთვალი მოქალაქეებზე, შეზღუდონ მათი უფლებები კორონავირუსის გარვცელების პრევენციის მიზნით. სწორედ, ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოებას უფრო მეტი ყურადღება მართებთ, რომ არ მოხდეს ავტორიტარიზმის აღზევება მსოფლიოში. უნდა გააქტიურდეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, ასევე მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომ არ დაუშვან ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა. თუ აღნიშნული ზომები არ იქნება გატარებული და საერთაშორისო საზოგადოება კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ხელისუფლების ძალმომრეობაზე თვალს დაუჭავს, მაშინ დიდი ალბათობით ეს გამოიწვევს ავტოტირატული რეჟიმების მომრავლებას მსოფლიოში.

ბიბლიოგრაფია:

1. Helios Herrera, Max Konradt, Guillermo Ordoñez, Christoph Trebesch. 2020. The political consequences of the Covid pandemic: Lessons from cross-country polling data, https://voxeu.org/article/political-consequences-covid-pandemic
2. Elise Labott. 2020. Redefining Diplomacy in the Wake of the COVID-19 Pandemic, The Meridian Center for Diplomatic Engagement, https://www.meridian.org/wp-content/uploads/2020/10/Redefining-Diplomacy-Report-v2.pdf

3. Netherlands Helsinki Committee (2020) The Impact of COVID-19 on Human Rights: Recommendations to the Dutch Foreign Affairs Committee, https://www.nhc.nl/the-impact-of-covid-19-on-human-rights-recommendations-to-the-dutch-foreign-affairs-committee/
4. გიორგი ანთაძე & სოფია ბაბუნაშვილი (2020) თვალთვალისა და კონტროლის მექანიზმები პოსტკოვიდ სამყაროში, https://www.geocase.ge/media/598/Pandemic-Surveillance---G.-Antadze%2C-S.-Babunashvili.pdf

ბიოლოგიური ვირუსი, რომელმაც კიბერსამყარო უფრო მაღალ დონეზე აიყვანა

თორნიკე ზედელაშვილი, ინტერნეტგამოცემა „ლიდერის“ დამფუძნებელი.

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულებში მომხდარმა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, ყველა სფეროზე იქონია გავლენა. კიბერსივრცემ გამიჯნა რეალური სამყარო, ინტერნეტმა გააჩინა მარტივი ხელმისაწვდომობა, რამაც შეცვალა ადამიანების ცხოვრება. რა თქმა უნდა, სრულყოფილი არაფერია და ინტერნეტსივრცეშიც ბევრი საფრთხე და ხარვეზი არსებობს, თავის დაცვა და სტაბილური სივრცის შექმნა მსოფლიო მასშტაბით ამ დრომდე ვერ ხერხდება. მეტიც, ამ ეტაპისთვის ეს შეუძლებელია. ჩვენს ნაშრომში ვსაუბრობთ ტექნოლოგიურ მიღწევებზე პოლიტიკურ პროცესებში, საერთაშორისო ურთიერთობებში, კონფლიქტების დროს და დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. აქ გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც თითქმის ორი წელია მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს - ბიოლოგიური ვირუსი, რომელმაც კიბერსამყარო უფრო მეტად მაღალ დონეზე აიყვანა და გამოიწვია სხვადასხვა დაწესებულებების გადასვლა სრულად ვირტუალურ სამყაროში. აქ ასევე გაჩნდა ჰიბრიდული სამუშაო ადგილები და ადამიანებს უფრო მეტად მიეცათ საშუალება, დედამიწის ერთი წერტილიდან მეორე წერტილში მუშაობისა. ასე მოხდა დიპლომატიურ ურთიერთობებშიც, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებთან მიმართებაშიც. ქვეყნის მთავარ პირებს შორის იმართება ონლაინ შეხვედრები და დისტანციურ რეჟიმში წყდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. ნაშრომში განხილულია ის ძირითადი მინუსები და პლიუსები, რაც პანდემიის ფონზე კიბერსივრცეში წარმოიშვა, ასევე - კოვიდ 19-ის პირობებში, თუ როგორ მუშაობენ ჰაკერები და რა ნიშნულზეა ამ მხრივ კიბერუსაფრთხოების სტატისტიკა. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ნაშრომის ბოლოს ცალკე განგვეხილა საქართველოს კიბერუსფართხოების საკითხები და ზოგადი მდგომარეობა პანდემიის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: „კიბერშეტევა“, „ბიოლოგიური ვირუსი“, „კიბერსამყარო“. „საერთაშორისო ურთიერთობები“.

ინტერნეტი და ტექნოლოგიური მიღწევები ფიზიკურ საზღვრებს გასცდა, სამყარო შეცვალა. გლობალური გიგანტური ქსელები, რომელიც კიბერსივრცის სახელით არის ცნობილი, რეალურად უკიდურესად რთულ სისტემას წარმოადგენს. იგი ხელმისაწვდომია ყველასთვის და ხშირად რთულია დაზუსტება, კიბერშეტევა საიდან ხორციელდება, როდის განხორციელდება, ან რა სიმძლავრის იქნება. ინტერნეტში უკონტროლო ხვრელები უამრავია და გვაქვს შესაძლებლობების მაღალი რესურსი, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა მიმართულებით. ტექნოლოგიების გაუმჯობესება ასევე გახდა დიდი მიზეზი, კანონის დარღვევის, კონფლიქტისა და გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა.

კიბერშეტევების რაოდენობა ისედაც ზრდადი იყო დროის გასვლასთან ერთად, თუმცა მსიფოლიო მასშტაბით პანდემიის ფონზე კიდევ უფრო გაიზარდა და კიბერუსაფრთხოების ახალი რისკები გაჩნდა, რადგან როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციებმა, ასევე საერთაშორისო თუ კერძო კომპანიებმა მასშტაბური ცვლილებები განახორციელეს, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ კიბერსივრცეში მუშაობას გულისხმობს.

მაგალითად სხვადასხვა უცხოურ გამოცემებში აქტიურად იბეჭდება მასალები, სადაც კომპანიები იტყობინებიან ჰაკერული თავდასხმების გაზრდილი რაოდენობის შესახებ. ერთ-ერთი სან-ფრანცისკოს საერთაშორისო აეროპორტია, რომლის სახელით მუშაობდა ორი ვებ-გვერდი, რომლებზეც ხორციელდებოდა პერმანენტული კიბერთავდასხმა, მონაცემების გადაქაჩვა და ვებ-გვერდების დაზიანება.[1] აღსანიშნავია ის მონაცემები, რომ 2020 წელი მთლიანობაში უკვე იყო რეკორდული წელი კიბერთავდასხმის მიმართულებით, საერთო მონაცემების მიხედვით პირველ სამ

[1] Lohrmann, D. "2020: The Year the COVID-19 Crisis Brought a Cyber Pandemic", 2020, p. 1. https://www.govtech.com

თვეში უკვე დამატებული იყო 8.3 მილიარდი შემთხვევა. პირველ თვეებში 2020 წლისთვის დარღვევების 21 პროცენტს შეადგენდა თაღლითური, ე.წ. გამომძალველი (ransomware) შეტევები, მაგრამ კოვიდ 19-მა ხელი შეუწყო სხვადასხვა უცნობი თავდასხმების დიდ რაოდენობას. მაგალითად ჯანდაცვის სფეროში ყველაზე მეტი კიბერშეტევა დაფიქსირდა, რაც 11.5. პროცენტს შეადგენს. ეს შეტევები ეტაპობრივად იმატებს, მაგალითად მილუკოის საარჩევნო კომისიის ვიდეოკონფერენციის სხდომა დაიხურა იმის გამო, რომ კომფერენციის დროს მონაწილეების ეკრანებზე გამოჩნდა სხვადასხვა პორნოგრაფიული და რასობრივი ცილისმწამებლური სურათები.[2]

რა თქმა უნდა, როდესაც ვსაუბრობთ კიბერშეტევებზე და პანდემიაზე, აუცილებლად უნდა შევეხოთ ნატოს და ევრიკავშირს, უკვე რამდენიმე წელია ცნობილია, ევროკავშირმა ნატოსთან ერთად აღიარა, რომ კიბერთავდაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია კეთილდღეობისთვის, რადგან კიბერსივრცე სულ უფრო მზარდი, მოთხოვნადი, გეოპოლიტიკურად საჭირო საგანი ხდება. ეკონომიკურ საქმნიანობაში, როგორც სხვა ყველა სფეროში, კიბერსივრცე მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო პანდემიას ებრძვის. ექსპერტების შეფასებით, პანდემიის ფონზე, 2030 წლისთვის ინტერნეტში იქნება 125 მილიარდი მოწყობილობა ჩართული, აქედან 90 პროცენტი, 6 წელზე უფროსი ასაკის ადამიანს წარმოადგენს.[3]

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვეულებრივი საბრძოლო მოქმედებებისგან განსხვავებით, სადაც გამოიყენება ფიზიკური ძალა და საბრძოლო ტექნიკა, კიბეთავდასხმები წარმოადგენს უფრო დახვეწილ საშუალებას, რომლის დროსაც სტრატეგიულ დონეზე შესრულებულმა ამოცანამ შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით დიდი ზარალი და მოწინააღმდეგეს მიაყენოს კოლოსალური ზიანი.

---

[2] Lohrmann, D. "2020: The Year the COVID-19 Crisis Brought a Cyber Pandemic", 2020, P. 1. https://www.govtech.com

[3] IHS Markit, "The Internet of Things: a movement, not a market", 2017. PP. 2-8. https://cdn.ihs.com (3.04.2021)

იმ ფონზე, როდესაც მსოფლიო მასშტაბით პანდემია მძვინვარებს და კიბერშეტევების რეკორდული მაჩვენებლები ფიქსირდება, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კიბერუსაფრთხოების განსაზღვრების შესახებ შეთანხმება საერთაშორისო დონეზე არ არსებობს. ყოველ ქვეყანაში კიბერუსაფრთხოების, კიბერსივრცის, კიბერდანაშაულისა და მასთან დაკავშირებული მთავარი ტერმინების განსაზღვრება შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ასევე განსხვავდება თითოეული ქვეყნის მიდგომა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის შედგენის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას აღიარებს ყველა ქვეყანა, მაინც საერთო მთავარი ტერმინებისა და ერთიანი ე.წ. „ენის“ არარსებობა ძალზედ ართულებს თანამშრომლობას საერთაშორისო დონეზე.

კიბერშეტევებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს არა მხოლოდ რომელიმე ქვეყანას, არამედ სხვადასხვა წამყვანი თუ განვითარებადი ქვეყნების დემოკრატიულ საფუძვლებს, რადგან კიბერსივრცე შეიძლება მრავალმხრივ იქნას გამოყენებული, მათ შორის, როგორიც არის დეზინფორმაცია, ეკონომიკური ზეწოლა და ასე შემდეგ. ჩვეულებრივი სამხედრო შეტევის დროსაც კიბერი შეიძლება იყოს ჰიბრიდული ოპერაციის ნაწილი, ციფრული სფეროდან რისკები შეიძლება შეექმნათ მთავრობებსა და პოლიტიკურ სისტემებს, შეეცადონ საზოგადოების დაყოფას და გააღვივონ ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით კონფლიქტი, ასეთი მაგალითები კი სამწუხაროდ უამრავი გვაქვს მსოფლიო მასშტაბით.

ხშირად მოისმენთ, რომ კიბერსაფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა ითხოვს კოლექტიურ და ფართომასშტაბიან მიდგომას, ახლა კი შეიძლება მოისმინოთ, რომ კიბერუსაფრთხოებასთან და კოვიდ 19-თან გამკლავება ითხოვს კოლექტიურ და ფართხომასშტაბიან მიდგომას, რაც, რა თქმა უნდა, სწორად დასმულ საკითხს წარმოადგენს, ახალი ამბავი არ არის, რომ როგორც საინფორმაციო ბრძოლის ასევე კიბერის მიმართულებით ნატო და ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობენ, ნატომ კიბერი უკვე ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად განსაზღვრა და ყოველწლიურად უფრო მეტი თანხები იხარჯება ტექნოლოგიური მიღწევებისთვისა და

კიბერთავდასხმებისგან თავდასაცავად. თავდაცვითი ნორმების მიმართულებით არსებობს ტალინის სახელმძღვანელო, რომელიც ესტონეთმა ნატოსთან თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავა. რაც შეეხება ევროკავშირს, მის სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კიბერშეტევები დიდ საფრთხეს წარმოადგენს ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისთვის, აღნიშნავს იმას, რომ იგი უნდა გახდეს მთავარი „მომავალი კიბერმოთამაშე" გლობალურ პოლიტიკაში, რომელიც ჩართული იქნება სრულყოფილად კიბერდიპლომატიაში და შეეცდება პარტნიორობის გაღრმავებას კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

ევროკავშირისთვის კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს მცდელობას სტაბილური ცირული ევროპის შესაქმნელად. 2020 წელს ევროკავშირმა და მისმა უმაღლესმა წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, კოვიდ 19-ის გათვალისწინებით, წარმოადგინეს კიბერუსაფრთხოების ახალი სტრატეგია - "EU Cybersecurity Strategy".[4] ეს დოკუმენტი თავისი შინაარსით ძალიან ამბიციურია, იგი მზნად ისახავს უსაფრთხო და საიმედო ციფრული ინსტრუმენტებისა და კავშირის უზრუნველყოფას მთელ ევროპაში, რაც გულისხმობს ევროპის ციფრული ეკონომიკის გლობალურ ლიდერად გარდაქმნას. სასიცოცხლო სექტორები, როგორებიცაა ელექტროენერგია, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, ფინანსები, ტელეკომუნიკაცია, უსაფრთხოება, თავდაცვა, დემოკრატიული პროცესები და ა.შ. ყოველდღიურად ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან ინფორმაციული სისტემების მეშვეობით. ამ ურთიერთდამოკიდებული მოწყობილობებისთვის ევრკოავშირმა დაიწყო სქემის შექმნა და ინვესტირება. მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, დაშიფრვა და კვანტური გამოთვლა. ევროკავშირის ახალი კიბერუსაფრთხოების სტრატეგია დაყოფილია სამ ნაწილად: მდგრადობა, ტექნოლოგიური სუვერენიტეტი და ხელმძღვანელობა; ოპერატიული შესაძლებლობების შექმნა, პრევენცია, შეკავება და რეაგირება; გლობალური და ღია

[4] European Commission, "New EU Cybersecurity Strategy and new rules to make physical and digital critical entities more resilient", 2020. P. 1. https://ec.europa.eu

კიბერსივრცის წინსვლა.[5] რა თქმა უნდა, ეს საკითხები იმ ფონზე, რომ მსოფლიო მასშტაბით პანდემია მძვინვარებს, მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს, რადგან პანდემიამ დიდი გავლენა იქონია ყველა არსებულ სფეროზე და მსოფლიოს დიდი ზარალი მიადგა.

2020 წლის ოქტომბერში ევროსაბჭომ მოუწოდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, სრულად გამოიყენონ 5G კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტები, ასევე გამოიყენონ შესაბამისი შეზღუდვები მაღალი რისკის მომწოდებლებზე. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის დეკემბერში ევროკავშირმა გამოაქვეყნა ანგარიში „ევროკავშირის რეკომენდაციების გავლენის შესახებ“, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორი მნიშვნელოვანი პროცესი განიცადეს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა EU 5G -ის დანერგვასა და განხორციელებაში. თუმცა გარკვეული ცვლილებებით და რიგ შემთხვევაში დარჩენილი ხარვეზებით. ევროკავშირმა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, განაგრძონ 5G ძირითადი რეკომენდაციების შესრულება და 2021 წლის მეორე კვარტალში გააუმჯობესონ იგი.[6]

ამრიგად, ნათელია, რომ ევროკავშირი კიბერუსაფრთხოებისა და კიბერტექნოლოგიების მიმართულებით რამდენიმე ფრონტზე იბრძვის, იგი ცდილობს, გაზარდოს კიბერგამძლეობა, ებრძოლოს კიბერდანაშაულს, გაზარდოს კიბერდიპლომატია, გააძლიეროს კიბერთავდაცვითი უნარები, გაზარდოს კვლევები და დანერგოს ინოვაციური ტექნოლოგიები, დაიცვას კრიტიკული ინფრასტრუქტურა.

რაც შეეხება საკითხს, თუ მაინც როგორ შეცვალა კოვიდ-19 მსოფლიო მასშტაბით კიბერმდგომარეობა, ამასთან დაკავშირებით, ვებ-გვერდი „cepal.org”-გი აქვეყნებს ჟურნალს სათაურით „Cybersecurity in the time of COVID-19 and the transition

---

[5] EUROPEAN COMMISSION, "JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL", 2020. P. 6-17. https://op.europa.eu/

[6] NIS Cooperation group, "EU coordinated risk assessment of the cybersecurity of 5G networks", 2019. PP. 4-12. report__eu_risk_assessment_E4583F51-F351-6B15-A1317185D4FB353A_62132.pdf

to cyberimmunity“ საცად მოყვანილია კვლევა 2019 წლის ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე.[7]



გრაფიკულ მონაცემზე ნათლად ჩანს, რომ გამოსასყიდი პროგრამების შეტევები 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს გაზრდილია 108 პროცენტით. ხოლო IoT ქსელებზე შეტევებმა 833 პროცენტით მოიმატა. ასეთი კვლევები კიბერმონაცემების თვალსაზრისით ასევე ბევრ კომპანიას აქვს ჩატარებული, რომელიც მრავალი მიმართულების საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი ერთვება ინტერნეტსივრცეში, მით მეტია კიბერსაფრთხეების რისკები და გამოწვევები.

დასკვნა

[7] Fal, "Cybersecurity in the time of COVID-19 and the transition to cyberimmunity", 2020, P. 10. https://www.cepal.org

ჩვენს მიერ განხილული თემის გათვალისწინებით, კიბერშეტევაზე ზემოქმედება მხოლოდ დროის საკითხია, ციფრულ სამყაროში. აუცილებელია მასშტაბური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება - გადაუდებელ საკითხად გვეჩვენება მსოფლიო კიბერუსაფრთხოების ცენტრის შექმნა, სადაც თავს მოიყრის გაბნეული ინფორმაცია და დაიწერება სამოქმედო გეგმები. დღევანდელ მონაცემებს თუ გადავხედავთ, მაინც აშკარაა ერთი ტენდენცია, რამდენიმე კუთხით კი ხორციელდება ეფექტური წინააღმდეგობა კიბერთავდასხმებთან მიმართებაში, მაგრამ არ არსებობს ერთიანი თავდაცვის სისტემა. სწორედ გლობალური ცენტრია საჭირო, რომელიც დანერგავს გაუმჯობესებულ მიდგომებსა და ტექნოლოგიებს. ამ საკითხზე საუბარი იყო როგორც ნატოს და ევროკავშირის მხრიდან, დაინტერესდნენ წამყვანი ქვეყნებიც., თუმცა ჯერ-ჯერობით პანდემიის ფონზე, ბევრი თემის გადატვირთვა და შეცვლა განხორციელდა. მსოფლიო როდის დაუბრუნდება ჩვეულ რიტმს, ეს ამ ეტაპზე უცნობია. რომც დაუბრუნდეს, ბევრი რამ ისე შეიცვალა, ალბათ პირვანდელ სახეს ვეღარასოდეს დაიბრუნებს. ამიტომაც არის სრულიად ახალი, რეალობას მისადაგებული ეფექტური ზომების შემუშავება. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აუცილებელია ე.წ. კიბერდაზვერვის გაძლიერება, რათა ვიცოდეთ, რას აპირებს და რას გზას ადგას მეორე მხარე - მოგეხსენებათ, რაც მეტი აქტიურობა იქნება აქეთ, მით მეტი აქტიურობა იქნება იქით, კიბერტერორისტების მხარეს.

<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>

Lohrmann, D. "2020: The Year the COVID-19 Crisis Brought a Cyber Pandemic", 2020, p. 1. https://www.govtech.com

IHS Markit, "The Internet of Things: a movement, not a market", 2017. PP. 2-8. https://cdn.ihs.com

European Commission, "New EU Cybersecurity Strategy and new rules to make physical and digital critical entities more resilient", 2020. P. 1. https://ec.europa.eu

EUROPEAN COMMISSION, "JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL", 2020. P. 6-17. https://op.europa.eu/

NIS Cooperation group, "EU coordinated risk assessment of the cybersecurity of 5G networks", 2019. PP. 4-12. report__eu_risk_assessment_E4583F51-F351-6B15-A1317185D4FB353A_62132.pdf

Fal, "Cybersecurity in the time of COVID-19 and the transition to cyberimmunity", 2020, P. 10. https://www.cepal.org

კოვიდ-პანდემიის ნეგატიური გავლენა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების პროცესზე

გვანცა ჩხეიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კოორდინატორი;

ირაკლი მექვევრიშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, სსიპ ქალაქ თბილისის, ალექსანდრე ცინცაძის სახელობის №150 საჯარო სკოლის დირექტორი;

აბსტრაქტი

დღევანდელი მსოფლიო უხილავ მტერს - კორონავირუსს ებრძვის. უკვე წელიწადზე მეტია ჩვენს გარშემო ავადდებიან და იღუპებიან ადამიანები, თუმცა პანდემიის დამარცხება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებმა, სხვადასხვა ქვეყანაში, გამოიგონეს საკმაოდ ეფექტური ვაქცინები, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, დღემდე უარს აცხადებს ვაქცინირებაზე, რაც ზოგად სიტუაციას ართულებს. ზემოაღნიშნულის უგულებელყოფის მიზეზი სხვადასხვაა.

ბოლო დროს, მდინარე ენგურზე მომხდარმა ტრაგედიამ, რომელსაც 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. იყო თუ არა პოლიტიკური შეცდომა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, 5 დღიანი კარანტინის დაწესება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ეს საკითხი დღემდე საზოგადოების განსჯის თემაა.

საქართველოსთვის, უკვე წლებია, გადაუჭრელ პრობლემად რჩება აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტი. სწორედ ამ საკითხებზე ვმუშაობთ ჩვენ და შევეცდებით გავაანალიზოთ, თუ რა ნეგატიური გავლენა იქონია პანდემიამ საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესის პერსპექტივებზე და როგორ დაამძიმა კორონავირუსმა ზოგადი პოლიტიკური სიტუაცია. ასევე მნიშვნელოვანია,

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უახლესი სტატისტიკა პანდემიით გარდაცვლილ, დაინფიცირებულ და ვაქცინირებულ მოსახლეობასთან დაკავშირებით. ჩვენ, სწორედ ამ საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ვირუსი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა

კოვიდ-19 - ვირუსი, რომელმაც სამყაროში ანარქია შექმნა, გლობალური უსაფრთხოების პრიორიტეტებში ჩაანაცვლა ტერორიზმის, გლობალური დათბობის, რადიაციული კატასტროფის და სხვა საფრთხეები. პანდემია დღემდე აგრძელებს თავის მავნე ზემოქმედებას ადამიანებზე და უკვე წელიწადზე მეტია შეზღუდვებით გვიწევს ცხოვრება. მსოფლიოში უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხშირია კოვიდ გადატანილ პაციენტებში თანმდევი დაავადებების განვითარება , რომელსაც ასევე სავალალო შედეგები ახლავს. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ვირუსი განიცდის მუტაციას და აქვს სხვადასხვა შტამი.

საქართველომ ეპიდემიის შეკავებისთვის მზადება ადრეულ ეტაპზე დაიწყო. ქვეყნის მთავრობის მიერ 2020 წლის გაზაფხულზე განხორციელებულმა შეკავების ღონისძიებებმა და კრიზისის დასაძლევად გადადგმულმა ნაბიჯებმა შეარბილა COVID-19-თან ასოცირებული უარყოფითი შედეგები, რამაც შესაძლებელი გახადა მაისიდან შემზღუდველი ზომების ეტაპობრივი შემსუბუქება. სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, ასევე რეგიონში არსებული ტენდენციის შესაბამისად, საქართველოში კორონავირუსით დაინფიცირებისა და ახალი შემთხვევების ზრდა ინტენსიურად დაიწყო სექტემბრის პერიოდიდან, რამაც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ეპიდემიის მასიური გავრცელება გამოიწვია. ინციდენტების ზრდასთან ერთად, ეპიდ-კონტროლისათვის მნიშვნელოვანი პარამეტრების და ჰოსპიტალური რესურსების მოხმარებით საქართველომ მიაღწია განგაშის წითელ დონეს, რის შემდეგაც, ქვეყნის მთავრობამ შემოდგომის ბოლოს პრევენციისა და სტაბილიზაციისთვის კვლავ სავალდებულო გახადა გარკვეული ამკრძალავი ღონისძიებები და გააფართოვა

მიზნობრივი შეზღუდვები. პანდემიის მართვის აღნიშნული მიდგომა, ამ დროისთვის, ყველაზე ეფექტურია, თუმცა ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკას, აფერხებს განათლების სექტორის ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებას და აბრკოლებს ქვეყნის შემდგომ განვითარებას. „2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში დადასტურებული შემთხვევების მაჩვენებელმა 5 834 / 100 000 მოსახლეზე შეადგინა, ხოლო დაინფიცირებული მოსახლეობის შეფასებითი მაჩვენებელი 15%-ია. გამოჯანმრთელებულების რაოდენობა 89%-ია, ხოლო ლეტალობა 1%. COVID-19 შემოდგომის პერიოდში გახდა ქვეყანაში სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზი, ხოლო მთლიანი 2020 წლისთვის ის იქნება სიკვდილიანობის მეოთხე წამყვანი მიზეზი.“[8]

საქართველოში COVID-19 ვაქცინაციის პოლიტიკის განსაზღვრისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის თავმჯდომარეობით.[9] ვაქცინაციის სახელმძღვანელოდ გამოიყენეს ჯანმოს მიერ შემოთავაზებული მეთოდური დოკუმენტი .[10]

ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა საქართველოში

2021 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, საქართველო ჩართულია ვაქცინაციის პროცესში. ამჟამად დაშვებულია 4 სახის ვაქცინით აცრა: Pfizer , AstraZeneca, Sinopharm და Sinovac. საწყის ეტაპზე ვაქცინაციის პროცესს საკმაოდ უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. გარკვეულწილად ეს განაპირობა ექთნის გარდაცვალებამ. სხვადასხვა საშუალებებით (პიარ-კამპანიებით) საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამ ვაქცინაციის პროცესზე დადებითად

---

[8] საქართველოში COVID-19 ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმა.

[9] „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 დეკემბრის N 2459 განკარგულება.

[10] Guidance on developing a national deployment and vaccination plan for COVID-19 vaccines. Geneva: World Health Organization; 2020 (WHO/2019-nCoV/NDVP/2020.1). Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

იმოქმედა, თუმცა დავდექით სულ სხვა გამოწვევის წინაშე - მცირე რაოდენობიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მსურველთა რეგისტრაცია აცრებზე. აუცილებელია ვაქცინების დიდი დოზით შემოტანა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავასრულოთ პანდემია, დავუბრუნდეთ ნორმალურ ცხოვრების პირობებს.

კონფლიქტების გართულებული რეგულაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უახლესი სტატისტიკა

აფხაზეთში კოვიდ 19-ის პირველი შემთხვევა 2020 წლის 8 აპრილს დადასტურდა, ცხინვალში კი - 2020 წლის 6 მაისს.[11] ქართული წყაროების მიხედვით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დაახლოებით 49 532[12] ადამიანისგან შედგება, აფხაზეთის - 243 936.[13] 2021 წლის 6 მაისის მდგომარეობით, ცხინვალის რეგიონში ინფიცირებული იყო 3409, გამოჯანმრთელებული კი - 3080 ადამიანი. კორონა ვირუსით გამოწვეული გარდაცვალების პირველი შემთხვევა 2020 წლის 18 ოქტომბერს დაფიქსირდა. საჯაროდ ხელმისაწვდომი ბოლო მონაცემებით კოვიდ 19-ს ცხინვალის რეგიონში 60-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.[14]

აფხაზეთში 2021 წლის 6 მაისის მდგომარეობით, ინფიცირებულთა რიცხვმა 14 666-ს მიაღწია, გამოჯანმრთელდა 13 660 ადამიანი, გარდაიცვალა 222. პირველი პაციენტი 2020 წლის 26 აპრილს გარდაიცვალა.

---

[11] Civil.ge, 2020, „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი აფხაზეთსა და ცხინვალში Covid-19-რეაგირებას აფასებს“, ხელმისაწვდომია , ბოლოს ნანახია 27.05.2021.

[12] შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, „ოკუპირებული ტერიტორიები“, ხელმისაწვდომია , ბოლოს ნანახია 27.05.2021.

[13] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, „დემოგრაფიული მდგომარეობა აფხაზეთში“, ხელმისაწვდომია , ბოლოს ნანახია 27.05.21.

[14] რადიო თავისუფლება, 2020, „ახალგორში პედაგოგი გარდაიცვალა, „იზოლაციის“ კიდევ ერთი მსხვერპლი“, ხელმისაწვდომია , ბოლოს ნანახია 27.05.2021.

უკიდურესად რთული შემთხვევების დროს, საქართველოს მთავრობამ, ოკუპირებული აფხაზეთიდან და ცხინვალიდან გადმოყვანილ 250-მდე ადამიანს დაეხმარა.[15]

2021 წლის 15 იანვრიდან რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განთავსებული თავისი სამხედრო კონტინგენტის კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო. ოფიციალურმა თბილისმა 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით, აფხაზეთსა და ცხინვალს იმუნიზაციის პროცესში მედიკოსებისა და 65 წელს ზევით პირების ჩართვა შესთავაზა, თუმცა, ორივე რეგიონის დე ფაქტო ხელმძღვანელობამ შეთავაზებაზე უარი თქვა.[16]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთმა თავისი წარმოებული ვაქცინა შეიტანა.

აფხაზეთში, პანდემიის პირობებში, საქართველოს ხელისუფლების სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა გალის სკოლების დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხი. გალში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებლად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან, ინტერნეტის სუსტი დაფარვის ან სათანადო აღჭურვილობის არქონის გამო, მოკლებულნი იყვნენ დისტანციურ სასწავლო პროცესში ონლაინ ჩართვის შესაძლებლობას.

კარანტინმა, გალის მოსახლეობას შეუზღუდა სამედიცინო სერვისების მიღება. აფხაზეთის მაცხოვრებლებს, რომლებიც გადაუდებელი სამედიცინო სერვისის მისაღებად ხშირად გადმოდიან საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, პანდემიის დასაწყისში ორკვირიან სავალდებულო კარანტინში

---

[15] შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2020, „თეა ახვლედიანი - ოკუპირებული რეგიონებიდან მკურნალობის მიზნით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე 250-ზე მეტი კოვიდინფიცირებული პაციენტი გადმოვიყვანეთ“, ხელმისაწვდომია , ბოლოს ნანახია 27.05.2021.

[16] Civil.ge, 2021, „ოკუპირებულმა ცხინვალმა და აფხაზეთმა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინები მიიღეს“, ხელმისაწვდომია https://civil.ge/ka/archives/417749, ბოლოს ნანახია 27.05.2021.

უწევდათ ყოფნა, რის გამოც მკურნალობა უგვიანდებოდათ. სავალდებულო კარანტინის ვადა 8 დღიდან 5 დღემდე შემცირდა. კარანტინისთვის თავის ასარიდებლად, არაერთი პაციენტი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას შემოვლითი გზებით, მდინარე ენგურის გადაცურვით ცდილობდა. რამდენიმე პაციენტი შემთხვევით გადაურჩა დახრჩობას.

2021 წლის 7 აპრილს ენგურის გადმოცურვის დროს ოთხი ადამიანი დაიღუპა.[17] ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ხალხის აღშფოთება არ შემწყდარა. სწორედ ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსულებისთვის კარანტინის მოთხოვნა მოხსნა. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ სწრაფი ტესტის ჩაბარებაა სავალდებულო.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები

საქართველოს ხელისუფლებამ ვირუსთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნა კოვიდ-ინფექციის პრევენციისათვის აუცილებელი რეკომენდაციებისა და წესების შესახებ მასალები, მათ შორის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული პროტოკოლები და სახელმძღვანელოები.

საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, აფხაზეთს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მისია ეწვია, ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად. პანდემიასთან გასამკლავებლად, საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთს რეგულარულად აწვდიდნენ სამედიცინო აღჭურვილობას, მედიკამენტებს და ჰიგიენურ საშუალებებს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ქართული დახმარების მიღებაზე უარი განაცხადა.

---

[17] რადიო თავისუფლება, 2021, „ნანუაშვილი: ხელისუფლებამ უნდა დასვას კითხვა, რა აიძულებს ათასობით გალელს რისკის ფასად გადმოვიდეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე“, ხელმისაწვდომია , ბოლოს ნანახია 27.05.2021

დასკვნის სახით, გვინდა ვთქვათ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონში, საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარებაა. ვერ ხერხდება მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა, საერთო დიალოგის წარმოება და ეს ყველაფერი კიდევ უფრო გაართულა არსებულმა მდგომარეობამ.

კოვიდ-პანდემიამ შეზღუდა კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანთა შორის კომუნიკაციის ხარისხი, რაც ცალსახად უარყოფითი მოვლენაა და ხელს უშლის სახალხო დიპლომატიის განვითარებას.

კორონავირუსის პანდემიის გავლენა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე და ეკონომიკაზე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკურ მეცნიერების დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

გორდა ღიბრაძე

gibradzegorda@gmail.com

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკურ მეცნიერების დოქტორი

ალიკა გუჩუა

alika_guchua@ciu.edu.ge

აბსტრაქტი

კორონარული ვირუსის (COVID-19-ის) პანდემია რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა აღმოჩნდა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, რომელიც მას მოუმზადებელი შეხვდა, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც რომელსაც საკმაინდ მძიმედ დაარტყა. ინფიცირებულთა სწრაფად მზარდმა რაოდენობამ და უკონტროლი განვითარებამ, ასვე ვირუსის გავრცელების ფართო არეალმა 2019 წლის მიწურულს ვუჰანში გაჩენილი ვირუსი სულ რამდენიმე თვეში სოფლიო პანდემიად აქცია. მსოფლიოში არსებულ კონფლიქტებზე პანდემიამ თავისი ნეგატიურო როლი ითამაშა, რაც შეეხება ეკონომიკას COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი ახლა უკვე შეუქცევადი ხასიათისაა. თუმცა კითხვები COVID-19-ის ზეგავლენის

მასშტაბსა და ხარისხზე ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია რადგან პანდემია არ არის დამარცხებული და ზოგიერთი სახელმწიფო საკმაოდ კრიზისულ ვითარებაშია.

მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე, თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიო ეკონომიკაზე და კონფლიქტებზე რადგან ეკონომიკური კრიზისის წინაშე მყოფ ზოგიერთ სახელმწიფოს ურჩევნია კონფლიქტებზე გადაატანინოს საკუთარ მოსახლეობას ყურადღება. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე რთულია პროგნოზის გაკეთება თუ როდისთვის იქნება შესაძლებელი პანდემიის სრულად დამარცხება. პანდემია შედარებით ამწვავებს კონფლიქტებს, მაგრამ მისი დამარცხება დიდ გავლენას არ იქონიებს რადგან კონფლიქტები მაინც იქნება პანდემიის მიუხედავად

გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები, რომლებიც პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში 1 პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. გაეროს მიერ წარმოდგენილი ანგარიშით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით 2 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება. მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის მინიმუმ 1%-იანი შემცირება. ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.7%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2.9%-დან 3 მდე რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული. რათქმაუნდა ეს პროცენტული ცვილებები საქართველოზეც ნეგატიურ კონტეკსტში აისახება, რადგან გამოწვეული კრიზისის ფონზე, ტურისტული მიმართულება შემცირდა.

კრიზისული ვითარების ფონზე საჭიროა მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება, რადგან საქართველო ამ მძიმე ვითარების ფონზე ნაკლებად დაზარალებული გამოვიდეს. იგივე მძიმე ეკონომიკური პირობებში არიან აზერბაიჯანი და სომხეთი, რომელთა ეკონომიკაც პანდემიის შედეგად საკმაოდ დაზარალდა. ნაშრომში განხილული იქნება პანდემიის გავლენა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე და ეკონომიკაზე, ასევე იმ ძირითად ტენდენციებზე რომელიც ვითარდება რეგიონში უსაფრთხოების საკითხების გარშემო. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე განვიხილავათ თუ რა ზემოქდებას ახდენს პანდემია მათ ეროვნულ უსაფრთხოებაზე და რამდენად შესაძლებელია პანდემიის ეფექტური მართვა არსებული კონფლიქტების პირობებში, ასევე თუ რა პოლიტიკა ტარდება კონფლიქტურ ტერიტორიებში პანდემიის დასაძელევად.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, უსაფრთხოება, პანდემია, ეკონომიკა.

შესავალი

მსოფლიოსთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოწვევად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა თანამედროვე მსოფლიოს დღის წესრიგი. მძიმე ეკონომიკური ვითარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზეც აისახა, პანდემიამ დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე, ექსპერტების ანალიზით ხდებოდა სხვადასხვა სფეროზე დაკვირვება, მათ ასახეს ის ეკონომიკური ცვლილებები, რომელიც განხორციელდა ცალკეულ ქვეყანასა თუ მსოფლიოში.

პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ყველა სახელმწიფოს რომელთაგან ზოგიერთი უფრო მარტივად გაუკლავდა და უმკლავდება პანდემიას, ხოლო განვითარებად სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი ბრძოლა და ძალისხმევის გაწევა უწევთ პანდემიის დასამარცხებლად. კორონავირუსმა გარკვეული გავლენა მოახდინა კონფლიქტებზე და მათ შორის სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტებზე რომელშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის ეკონომიკურ ფაქტორებსაც.

კონფლიქტების ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე მათზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას რომელთაშორისაცაა პანდემიაც. პანდემიის გარდა კონფლიქტებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარე ძალები, რომელთაც საკუთარი ინტერესები გააჩნიათ და შესაბამისადაც წარმართავენ კონფლიქტების ბედსაც. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ასეთ ძალად გვევლინება რუსეთი და თურქეთი, მათ შორის ჩინეთი, ირანი და ასევე ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი.

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, ისევე როგორც საქართველოს კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის დამრთგუნველი მემკვიდრეობის შედეგს. თითოეული მათგანის პროვოცირებასა და შემდგომ ესკალაციაში ,,ლომის წილი" ეკუთვნის ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკას.[18] რომელიც დღემდე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე და ხშირ შემთხვევაში ღიად კარნახობს პოლიტიკას კონფლიატურ მხარეებს.

თავისი ბუნებიდან და წარმოშობიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები შეიძლება კლასიფიცირდეს ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებად. ისინი არ შეიცავდნენ იდეოლოგიურ კომპონენტს და ეკონომიკური ფაქტორი მხოლოდ კონფლიქტის ხელშესაწყობად გვევლინებოდა.[19] თუმცა პანდემიის შემდგომ ეკონომიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კონფლიქტებზე.

მთიანი ყარაბაღის ახალი კონფლიქტი და მასზე მოქმედი ფაქტორები

2020 წლის 27 სექტემბერს ყარაბაღში, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებები განახლდა. ბოლო 27 მანძილზე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მრავლად იყო შეიარაღებული დაპირისპირება, ბოლოდროინდელი წარმოებული

[18] პაპიაშვილი დ., ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2009. გვ.169.
[19] მაცაბერიძე მ., ,,კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი", თბილისი 2014. გვ.35.

კონფლიქტებს შორის ეს იყო ყველაზე ფართო მაშტაბიანი დაპირისპირება, რაც მათ შორის მომხდარა.[20]

წარმოებული კონფლიქტი არა მხოლოდ ორ ჩვენს მეზობელ ქვეყანას ეხება, არამედ ის ძალიანდ დიდ გავლენას ახდენს მთლიანად რეგონზე ეკონომიკური მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ თუ, რა ეკონომიკური გამოწვევის წინაშე დგას საქართველო. საქართველო სომხეთთან და აზერბაიჯანთან ყველაზე მეტად საგარეო ვაჭრობით და ტურიზმით არის დაკავშირებული. 2019 წელს, ვაჭრობის კუთხით, აზერბაიჯანი საქართველოს რიგით მე-4 პარტნიორი იყო, სომხეთს კი მე-5 ადგილი ეკავა. 2019 წელს საქართველომ აზერბაიჯანში 449 მლნ დოლარის ექსპორტი განახორციელა, სომხეთში – 412 მლნ დოლარის. აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან იმპორტმა, შესაბამისად, 559 მლნ და 267 მლნ დოლარი[21] შეადგინა. კორონავირუსით შექმნილი კრიზისის გამო, საქართველო უკვე აშკარად იგრძნობდა ყარაბაღის ომით მიყენებულ ეკონომიკურ ზიანი, ბოლო ცხრა თვის მონაცემით, საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში 9%-ით შემცირდა და 328 მლნ დოლარი შეადგინა, მიუხედავად შემნცირებული მაჩვენებლისა აზერბაიჯანი საქართველოსთვის რიგით, მეორე ეკონომიკურ პარტნიორად რჩება ჩინეთის შემდეგ.

ხოლო რაც შეეხება სომხეთს, 2020 წლის იანვარ-სექტემბერის მონაცემით საქართველოს ექსპორტი სომხეთში 50%-ით შემცირდა და 139 მლნ დოლარი შეადგინა, ამ მონაცემიდან გამომდინარე სომხეთი საქართველოს რიგით მეშვიდე სავაჭრო პარტნიორი გახდა. ყარაბაღის ომამდე პანდემია დაიწყო, რამაც ყველზე მეტად ტურიზმის დარგი [22]დააზარალა. ტურიზმის კუთხით, იანვარ- სექტემბერში აზერბაიჯანიდან ვიზიტორების რაოდენობა 78%-ით შემცირდა, ხოლო სომხეთიდან

---

[20] War in the time of COVID-19: humanitarian catastrophe in Nagorno-Karabakh and Armenia, 27.2020, p.1. https://www.thelancet.com/journals, (ბოლო ნახვა - 10.06.2021)

[21] ბესო ნამჩავაძე, ყარაბაღის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, 2.2020, გვ.1. https://forbes.ge/qharabaghis-omis-gavlena, (ბოლო ნახვა - 10.06.2021)

[22] Arin A Balalian, Alique Berberian…, War in Nagorno-Karabakh highlights the vulnerability of displaced populations to COVID-19, 10.11.2020, P.1. https://jech.bmj.com/content/early/, (ბოლო ნახვა - 11.06.2021)

77%-ით. აღნიშნული კლებით, საქართველომ დაახლოებით 300 მლნ დოლარის შემოსავალი დაკარგა.

გამოსაყოფია ინვესტიციების როლი, რომელიც საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან, ფაქტოს თამაშობს. აზერბაიჯანული ინვესტიცია ბოლო 5 წლის განმავლობაში, 2 მილიარდი დოლარი შეადგინა რაც ჯამური ინვესტიციების 24%-ია. აზერბაიჯანიდან პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლა ძირითადად საერთაშორისო მილსადენების გაყვანასა და „სოკარის" გაზისა და საავტომობილო საწვავის ქსელების გაფართოებასთანაა დაკავშირებული. სომხური ინვესტიცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ძალიან მიზერულია, რომელი 50 მილიონი დოლარით შემოიფარგლება.

პანდემიამ სწორედ ინვესტიციების შემოდენას შეუშალა ხელი და ეს ძალიან მძიმედ აისახა ჩვენს ეკონომიკაზე. 2020 წლის პირველ ნახევარში, პანდემიის გამო, აზერბაიჯანიდან ინვესტიციები 150%-ით შემცირდა, ანუ შემოსვლის ნაცვლად, ინვესტიციები გავიდა. ბოლო წლებში აზერბაიჯანიდან მნიშვნელოვანი ინვესტიციების შემოსვლა დიდწილად ახალი გაზსადენის, შაჰ- დენიზ 2-ის აშენებას [23]უკავშირდებოდა.

ეკონომისტების ვარაუდით, ვირუსის მიმდინარე გავრცელების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზარალი მართვადია და შემდგომი ის არ გამოიწვევს მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან შესუსტებას. მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად 2009 წელს H1N1 პანდემიის შედეგს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.5 პროცენტიან კლება მოჰყვა, კორონავირუსის შემთხვევაში ნავარაუდებია მსოფლიო ეკონომიკის 5 პროცენტიანი [24]შემცირება. მსოფლიოში გავნითარებული მოვლენები უარყოფითად აისახება ფინანსურ ბაზრებზე. მოგეხსენებათ ჩინეთი ნავთობპროდუქტების უმსხვილესი იმპორტიორია. 2020 წლის პირველ კვარტალში

[23] საქართველოში აზერბაიჯანული და თურქული ინვესტიციები სამი წლის მაქსიმუმზეა, 09.12.2020, გვ.1. https://bm.ge/ka/article/saqartveloshi, (ბოლო ნახვა - 11.06.2021)
[24] კორონავირუსის ეკონომიკური შედეგები, 26.02.2020. გვ.1. https://forbes.ge/blogs/e1-83-99-e1-83-9d-e1,

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნავთობის მოთხოვნაზე კლება დაფიქსიდა (435 ათასი ბარელით), რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნის კვარტალური მაჩვენებლის შემცირების პირველი შემთხვევაა.

მოგზაურობა და ტურიზმი ეკონომიკურ ზრდის ერთ - ერთი განმსაზღვრელია, კორონავირუსამდე ეკონომიკის სხვა სექტორების მსგავსად ტურიზმისა საქართველოში პოლიტიკური ნიშნით განისაზღვრებოდა. ბაზრის წილის ზრის კუთხით, საქართველოში შემომავალი ტურიზმის წილი გასამმაგდა 2011-2019 პერიოდში და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით 9.4 მილიონი საერთაშორისო მოგზაური ეწვია[25] ქვეყანას. ბოლოდროინდელი მონაცემებით საქართველოს ტურისტული სექტორის განვითარებამ ქვეყანას, 16.3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მოუტანა, შრომითი რესურსის თვალსაზრისით, უშუალოდ მოგზაურობა და ტურიზმი დაახლოებით 138 000 სამუშაო ადგილს ქმნის, ხოლო ირიბად - დაახლოებით 476 000 სამუშაო ადგილს, რაც დასაქმების ჯამური ოდენობის 27 პროცენტია.

ეკონომიკურ საკითხებთან ერთად უნდა შევეხოთ სამხედრო კომპონენტს და რუსეთის როლს ყარაბაღის კონფლიატში, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სომხეთის პოლიტიკაზე გადაწყვეტილების მითების პროცესშიც. სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა დამოკიდებულია რუსეთზე და რაც არ უნდა მოხდეს, ის თავს ვერ დააღწევს რუსულ ორბიტას. სომხეთი 2018 წლამდე კითხვის ნიშნების გარეშე მიუყვებოდა ამ გზას: ის იყო და „ნელ-თბილად“ დღესაც რჩება დსთ-ს, საბაჟო კავშირისა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოდ.[26] შესაბამისად ნათელი თუ რამდენად რთულ პირობებშია სომხეთი

---

[25] ნავთობიდან დოლარების შემოდინება და პანდემია: სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან საქართველოში აყვავებული ტურიზმი, 31,08.2020. გვ.1.
https://stopcov.ge/ka/News/Article/navtobidan_dolarebis_shemodineba, (ბოლო ნახვა - 11.06.2021)

[26] კობახიძე ბ., „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი“. 2020. გვ.1.
https://publika.ge/article/yarabaghis-konfliqtiwarsuli-awmyo-momavali/ . (ბოლო ნახვა - 12.06.2021)

რუსეთთან მიმართებაში რადგან მასზეა დამოკიდებული მისი მომავალი განვიტარება და პოლიტიკური ბედიც.

ომის მიმდინარეობისას აზერბაინჯა გამოიყენა თანამედროვე ტექნოლოგიები და შეიარაღება რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ანვითარებდა. აქაც მნიშვნელოვანი დაკვირვების და ანალიზის შედეგად სომხეთს უნდა გამოეტანა სწორი დასკვნები რომლის შედეგადაც ნათელი იქნებოდა აზერბაიჯანის ზრახვების და მზადების გამოვლენა ომისთვის მზადების მიმართულებით. თუმცა სომხეთმა ამ მიმართულებით სერიოზულად მოიკოჭლა და რუსეთის იმედად დარჩენილმა თავისი პოზიციები ვერ დაიცვა.

მნიშვნელოვანია ვახსენოთ თურქეთის ფაქტორი დაროლი კონფლიატის მიმდინარეობისას სადაც ის უშუალოდ აზერბაიჯანის დამცველად და ინტერესების გამტარებლად გვევლინებოდა. თურქეთის მიერ სამხედრო და ეკონომიკურმა მხარდაჭერამ აზერბაიჯანის ის საკმაოდ წააქეზა ომის პროცესში და შემდგომაც. რუსეთი არ შევიდა თურქეთ-აზერბაიჯანთან კონფრონტაციაში და თავისთვის მომგებიანი პოლიტიკა გაატარა, რომლითაც საკუთარი ინტერესების დაცვა მოახდინა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მისი წარმომადგენლობა. აღნიშნულის უკეთ აღსაქმელად წარმოდგენილ რუკაში ნათლად ჩანს თუ როგორ მოხდა შეთანხმების მიღება და კონფლიქტური საკითხები გადაწყვეტა.

რუკა #1.



შესაბამისად ნათლად ჩანს თუ როგორ მოხდა შეთანმების მიღწევა და რა როლი ითამაშა რუსეთმა, რომელმაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე კონფლიატის მოგვარების გეგმა დადო და ორივე კონფლიქტური მხარე დაითანხმა მის ხელმოწერაზე და შესრულებაზე.

კონფლიქტის მიმდინარეობისას ორი დრონი ჩამოვარდა საქართველოს ტერიტორიაზე, ექსპერტების მხრიდან კონფლიქტის გადმოდიენბის საშიშროებაზეც იყო საუბარი. აღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით ნატო-ს მიერ შავ ზღვაში იქნა გამოგზავნილი დიდი ბრიტანეთის სამხედრო გამი რომელიც რადიო-ლოკაციური სისტემებით იყო აღწურვილი და მან საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მეორე საკითხი კონფლიქტის გადმოდინების საშიშროებასთან დაკავშირებით უკავშირდება სომხეთის მეწამურის

ატომური ელექტრო სადგურის დაზიანების საკითხს, აზერბაიჯანული მხარე სომხეთს ღიად დაემუქრა, რომ ისინი მზად იყვნენ მეწამური ატომული ელექტროსადგურისთვის დაერტყათ თუ სომხეთი განაგრძობდა სამხედრო მოქმედებებს. ეს კი ნამდვილად საკმაოდ დიდ საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს რადგან საფრთხის განზომილება და რადიაციაც საქართველომდეც მარტივად მოაღწევდა და ჩვენი მოსახლეობა დაზარალდებოდა ამით. საქართველოს ჩართულობამ საკმაოდ დაიგვიანა კონფლიქტის მიმდინარეობისას რამაც ჩვენ წაგვართვა უპირატესი ფაქტროსა კონფლიქტის მედიატორის როლისა, რომლის შესრულება ქართულ მხარეს საკმაოდ კარგადაც შეეძლო. აღნიშნული პროცესიდან გამომდინარე ნათლად ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია დროული და გამბედავი ჩართულობა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებში დიალოგის წარმართვის და კონფლიქტის განმუხტვის მიმართულებით. რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხსაც ბაქო-თბილისის ნავთობ მილსადენების უსაფრთხოების საკითხის მნიშვნელოვანი განზომილება გახდა რადგან მათ სიახლოვესაც მოხდა ბომბების ჩამოყრა, რაც ჩვენს სატრანზიტო ფუნქციას და როლს დააზარალებდა. სწორედ ამიტომაც საქართველო უფრო აქტიურ როლს უნდა თამაშობდეს კონფლიატების პრევენციის საკითხში. რომელმაც საქართველოს ეკონომიკასაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს.

დასკვნა

კორონავირუსმა საკმადო დიდი გავლენა იქონია მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე და მათ შორის სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე. კონფლიქტების ხასიათზე და ბუნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი პროცესი და მათ შორის პანდემია. ეკონომიკური თვათსაზრისით პანდემიამ მშნივნელოვანი დარტყმა მიაყენა მთელ რიგ სახელმწიფოებს თუმცა არიან ისეთი ქვეყნებიც რომლებმაც სამაოდ დიდი შემოსავალიც მიიღეს მანდემიიდან. რაც შეეხება ეკონომიკების ვარდნას, ეს გახდა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ზოგიერთი კონფლიქტის გაღვივევბის და წარმოშეობის, მათ შორის გაყინული კონქლიქტების

ცხელ ფაზაში გადასვლის. აქედან გამომდინარე ხაზი უნდა გაესვას და გასათვალისწინებელია ყარაბაღის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და შედეგები რომელიც ზუსტად პანდემიის პერიოდში განვითარდა. მათ შორის საქართველოში არსებული კონფლიქტების სპეციფიკა რომელიც სხვადასხვა განზომილებით ხასიათდება და რუსეთის ფაქტორი კვლავ კონფლიქტების გაღვივების პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც საქრთველოში ასევე აზერბაიჯანის და სომხეთის კონფლიქტების მაგალითზე. ეკონომიკა და დიალოგი უნდა იყოს მთვარი ფაქტორი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დაახლოების და ურთიერთობების ნორმალიზების კუთხით, რადგან აქტიური კომუნიკაცია და დაახლოების პროცესი მოგვცემს დადებით შედეგს და რეგიონალურ სტაბილურობას. მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე შეგვიაძლია ვთქვათ, რომ კონფლიქტებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორი და პანდემია რომელიც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკასთან.

ბიბლიოგრაფია

1. კობახიძე ბ., „ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი“. 2020. გვ.1. https://publika.ge/article/yarabaghis-konfliqtiwarsuli-awmyo-momavali/ (ბოლო ნახვა - 12.06.2021)
2. მაცაბერიძე მ., ,,კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი“, თბილისი 2014.
3. ნამჩავაძე ბ., ყარაბაღის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, 2.2020, https://forbes.ge/qharabaghis-omis-gavlena, (ბოლო ნახვა - 10.06.2021)

4. პაპიაშვილი დ., ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2009.
5. საქართველოში აზერბაიჯანული და თურქული ინვესტიციები სამი წლის მაქსიმუმზეა, 09.12.2020, გვ.1. https://bm.ge/ka/article/saqartveloshi, (ბოლო ნახვა - 11.06.2021)
6. კორონავირუსის ეკონომიკური შედეგები, 26.02.2020. https://forbes.ge/blogs/e1-83-99-e1-83-9d-e1,
7. ნავთობიდან დოლარების შემოდინება და პანდემია: სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან საქართველოში აყვავებული ტურიზმი, 31,08.2020.. https://stopcov.ge/ka/News/Article/navtobidan_dolarebis_shemodineba, (ბოლო ნახვა - 11.06.2021)
8. Arin A Balalian, Alique Berberian…, War in Nagorno-Karabakh highlights the vulnerability of displaced populations to COVID-19, 10.11.2020, https://jech.bmj.com/content/early/, (ბოლო ნახვა - 11.06.2021)
9. War in the time of COVID-19: humanitarian catastrophe in Nagorno-Karabakh and Armenia, 27.2020, https://www.thelancet.com/journals, (ბოლო ნახვა - 10.06.2021)

კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოს სოციალურ დაცვის სისტემაზე

ნინო ხომასურიძე

უნივერსიტეტი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი, საქართველო

კორონავირუსული პანდემიით გამოწვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა ახალი სირთულეების წინაშე დააყენა. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა უფრო ცხადი გახადა საქართველოში სოციალური დაცვის პოლიტიკის ფუნდამენტური ხარვეზების სიღრმისეული ანალიზის აუცილებლობა. პანდემია იქცა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. მსოფლიოში მიმდინარე პანდემიური პროცესები გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებზე. ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოსათვის აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებს. სწორედ ევროპულმა კურსმა განაპირობა მთელი რიგი პირობების და მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა. ამ მიზანთა შორის გვხვდება სოციალური დაცვის სისტემა, მისი განვითარება და ევროპული სოციალური დაცვის სისტემასთან მაქსიმალური დაახლოება. სწორედ სოციალური დაცვის იმგვარი სისტემის ფორმირება უნდა განხორციელდეს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ყველა ღონისძიებისა და ქმედების ერთიანობას, რომელიც ეკონომიკურად სუსტი ჯგუფების ცხოვრების საფუძვლების განმტკიცებას მოემსახურება. ევროკავშირის წევრობის მოპოვების გზაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება საქართველოსათვის სოციალური სფეროს განვითარება და მისი ევროკავშირის სტანდარტებთან მისადაგება. სოციალური დაცვის სისტემის მნიშვნელობის ხაზგასმისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ჯონ კენედის მიერ წარმოთქმული ფრაზა: «თუკი თავისუფალი საზოგადოება დიდად არ ეხმარება მათ, ვინც ღარიბია, არ შეუძლია იმ უმცირესობის დაცვაც, ვინც მდიდარია». განვითარებული ქვეყნებისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა მოდელი არის აპრობირებული, თუმცა სოციალური

პოლიტიკა დასავლური საზოგადოების როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურული ღირებულებების განმასხვავებელი ნიშანსა და არსებობის წინაპირობას წარმოადგენს.

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება, სოციალური სფეროს უფრო ფართო შესწავლა და ანალიზი. მნიშვნელოვანია განხორციელდეს სოციალური სისტემის ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, საქართველოს მომავალი განვითარებისა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების რეალური პერსპექტივების ჩამოყალიბებისათვის საყურადღებოა აღნიშნული პოლიტიკის მნიშვნელობისა და პრიორიტეტულობის წარმოჩენა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალური დაცვის სისტემის კომპონენტების, სოციალური დაცვის, სოცუზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ერთიან სისტემაში მოქცევას და ეროვნული სოციალური სისტემის ფორმირებას.

როგორც უკვე ავღნიშნეთ მსოფლიოში სოციალური პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, თუმცა განსაკუთრებით მისი როლი და ფუნქცია გაიზარდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში, ხოლო რაც შეეხება მისი განხორციელების პროცესში წარმოშობილ პრობლემებს, ისინი მზარდი აქტუალობით გამოირჩევიან. განვითარებული ისევე როგორც განვითარებადი ქვეყნებისათვის სიღარიბესთან ბრძოლა მუდმივ თანმხლებ პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა რომ სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მისი აღმოხვრა ოცდამეერთე საუკუნის განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სოციალური დაცვის სფეროში წარმოშობილი პრობლემები, კორონავირუსული პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია. პანდემიამ გამოიწვია მთელი რიგი დარგებისა და სფეროების პარალიზება. შედეგად მსოფლიოს მსგავსად საქართველოშიც მივიღეთ უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. ამ ყველაფერმა კი სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის სფეროზე გაწეული

დანახარჯების ზრდა განაპირობა.

მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსული პანდემიის გავლენის საილუსტრაციოდ საქართველოს სოციალური დაცვის სისტემაზე, ამისათვის გავაანალიზოთ შემდეგი სახის მონაცემები. კერძოდ, თუ შევხედავთ დიაგრამა#1-ს მასზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა 2020 წელს, ხოლო დიაგრამა#2-ზე 2021 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა. როგორც დიაგრამებიდან ჩანს, ორივე წელს ხარჯების მთლიან მოცულობაში სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს ყველაზე მაღალი წილი აქვთ დათმობილი. თუ 2020 წელს პოცენტულ გამოსახულებაში ბიუჯეტი ხარჯების 42,6%-ს წარმოადგენდა სოციალური უზრუნველყოფის სფეროზე გაწეული დანახარჯი, ის 2021 წლის პირველი კვარტლის ჯამური ანალიზის პერიოდისათვის გაზრდილია 47,4%-მდე.



დიაგრამა #1. 2020 წლის ხარჯების სტრუქტურა

მეორე ადგილზე ხარჯების სტუქტურაში წარმოდგენილია სხვა ხარჯების ჯგუფი, რომელიც 2020 წელს 12%-ს წარმოადგენდა, ხოლო 2021 წლის პირველი კვარტლის



დიაგრამა #2. 2021 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა

მდგომარეობით გაიზარდა 14,1%. გრანტების მაჩვენებელი 8.1%-დან შემცირდა 3,5%-მდე, შემცირდა აგრეთვე სუბსიდიები 6,7%-დან 5,1%-მდე, აგრეთვე პროცენტი-6,1%-დან შემცირდა 5,9%-მდე. ზრდა განიცადა შრომის ანაზღაურების ხარჯებმა 12,3%-დან 13,2%-მდე, ხოლო საქონელი და მომსახურების ხარჯი 2020 წლის ხარჯების მთლიან სტრუქტურაში 12,2%-დან შემცირდა 10,8%-მდე.



დიაგრამა #3. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინასების სტრუქტურას ფუნქციონალურ ჭრილში, ამის ანალიზისათვის გამოვიყენოთ დიაგრამა #3 და დიაგრამა#4, რომლებზეც წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში 2020 წლის და 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით. ამ დიაგრამების ანალიზის გზით შეგვიძლია დავასკვნათ რომ სოციალური დაცვას 2020 წელს 30% ქონდა დათმობილი, ხოლო 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით 32,8%-ი. მნიშვნელოვანი შემცირება განიცადა ეკონომიკურმა საქმიანობამ რომელმაც 2020 წელს მეორე ადგილზე 17,3% დან, 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარებით გადაინაცვლა მესამე ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის შემდეგ (12,5%) 12,1%-ით .



დიაგრამა #4. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში

დიაგრამა #5 და დიაგრამა#6 წარმოდგენილია 2019-2020 წლის და 2020-2021 წლების

ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

დიაგრამა #5. 2019-2020 წლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

დიაგრამების ანალიზის დროს ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა ამა თუ იმ ჯგუფზე გაწეული დანახარჯი წლების მიხედვით. თუ სოციალური დაცვაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული დანარჯების მოცულობას დავაკვირდებით დავინახავთ, რომ დინამიკაში ის მზარდია. კერძოდ, 2019-2020 წლის და 2020-2021 წლის პირველი კვარტლების მონაცემებს შევაჯერებთ თანაფარდობა პირველ წლებს შორის 144%-ს წარმოადგენდა, ხოლო მეორე შემთხვევაში 115%-ს.



დიაგრამა #6. 2020-2021 წლების I კვარტლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების ანალიზს, ამისათვის წარმოდგენილია დიაგრამა#7. ჯამურად მოქალაქეთა დახმარების მიზნით გამოიყო 1,2 მილიარდ ლარზე მეტი. აღნიშნული თანხიდან სხვადასხვა სახის დახმარებას იღებს 1 მილიონ 700 ათასამდე მოქალაქე. აგრეთვე კომუნალური ხარჯების სუბსიდირებით ისარგებლა 2,5 მილიონამდე მოქალაქემ.



დიაგრამა #7. პანდემია და სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამები

პანდემია და მისი თანმხლები ეკონომიკური კრიზისი გრძელდება, შესაბამისად ანტიკრიზისული პაკეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარებები არ არის საკმარისი შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. ესეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს სოციალური დაცვის სისტემის ძირეული რეფორმა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის გახორციელება, ნაცვლად დროებითი დახმარების პაკეტის განხორციელებისა, რომელიც მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში აჩვენებს შედეგს. ამავე დროს მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ გაზრდილია საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა, რომელიც კიდევ მეტ არასტაბილურობის გაზრდის საფრთხის წინაშე აყენებს ეკონომიკას. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს სოციალური დაცვის

სისტემის რეფორმირება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მთავარი მიზნის მიღწევას, ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის დადგენილი სტანდარტები, მოსახლეობის შრომისუუნარო და ნაკლებ შემოსავლიანი ნაწილისათვის სოციალური სოლიდარობის პრინციპის რეალიზაციით.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ. 2001.
2. გელიტაშვილი ნ. საქართველოს გზა ევროპის სამეზობლო პოლიტიკიდან კოპენჰაგენის კრიტერიუმებამდე. ჟ. სოციალური ეკონომიკა. [1]5. 2006.
3. გელიტაშვილი ნ. „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“ . თბილისი, 2011.
4. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I. თბ. «უნივერსალი». 2012
5. გოგიშვილი უ. „სოციალური დაცვის ევროპული მოდელები“.ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ . 2012
6. გოგოხია მ. სოციალური სექტორის განვითარების ამოცანები. ჟ. სოციალური ეკონომიკა. [1]6. 2001.
7. გოგოხია მ. მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმის სრულყოფისათვის ეკონომიკის რეფორმირების პირობებში. ჟ. სოციალური ეკონომიკა. [1]6. 2005.
8. ვეკუა დ. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის ზოგიერთი მაკროეკონომიკური პრობლემა. ჟ. სოციალური ეკონომიკა. [1]5. 2003.
9. კვარაცხელია ლ. სოციალური პოლიტიკა _ საქართველოს ეკონომიკის ორიენტირი თუ სავალალო შედეგი. ჟ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა. [1]7-8. 2003.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიwww.geostat.ge
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://mof.ge

12. სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge
13. Социальное государство. Краткий словарь-справочник. Академия труда и социальных отношений. 2002
14. Социальное страхование и социальная защита. Доклад Генерального Директора. Международная Конференция Труда. – Женева. МБ. 1997
15. Тоффлер Э. Третья волна. Москва. Профиздат. 2000
16. Deutscher Gewerkschaftsbund. Bundesvorstand. Arbeitsgruppe Europa. Halbzeitbilanz der Lissabon- Strategie der Europäischen Union. http://www.labournet.de/diskussion/eu/wipo/addgbliss.pdf#search='LissabonStrategie'
17. http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-NJ-06-019/DE/KS-NJ-06-019-DE.PDF
.
18. K.D.HENKE,Die Verteilung von Guetern und Dinsten auf die verschiedenen Bevoelkerungsschichte, in: Schriften der Kommission fuer wirtschatlichten und sozialen Wandel ,Goettingen,1975
19. Kuusi P. Social Policy for the Sixtics. A plan for Finland. Helsinki, 1964

ქალთა მდგომარეობა კოვიდ-19-ის პირობებში: გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა

ქეთევან ჯოჯიშვილი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი (PhD)
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა:ketijojishvili9@gmail.com
ტელ.: +995 598 189 111

კოვიდ-19-მა მსოფლიოს პარალიზება გამოიწვია და მთელს მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საქმიანობის შემაფერხებელი უმთავრესი ფაქტორი გახდა. რაც შეეხება სოციალურ სფეროს, კოვიდ-19-მა ქალებისთვის ჯანდაცვის, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის მიმართულებებით მძიმე შედეგები გამოიწვია. პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა ის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უთანასწორობები, რომლებიც პანდემიის დაწყებამდეც არსებობდა. ამასთანავე, 2020 წელი, როგორც პეკინის სამოქმედო პლატფორმის ოცდამეოთხე წლისთავი, გენდერული თანასწორობის მხრივ გარდამტეხი უნდა ყოფილიყო. ამის ნაცვლად კი, კოვიდ-19 პანდემიის გამო, გასული ათწლეულების განმავლობაში მიღწეული შეზღუდული მიღწევებიც კი, რისკის ქვეშ შეიძლება დადგეს.

კოვიდ-19 გამოწვევაა არა მხოლოდ გლობალური ჯანდაცვის სისტემებისათვის, არამედ ზოგადად კაცობრიობისთვის. კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ სამყარო უფრო თანასწორი და მდგრადი უნდა გახდეს მომავალი კრიზისებისადმი. ბევრ ქვეყანაში მთავრობებმა დაამტკიცეს მხარდაჭერის ფისკალური პაკეტები და გადაუდებელი რეაგირების ზომები მიიღეს კოვიდ-19-ის ზემოქმედების შესამცირებლად. მნიშვნელოვანია, რომ თანასწორობა და დაცვა ყველა სახელმწიფოსათვის პრიორიტეტი იყოს, რადგან ქალები და გოგოები არის მათი ინკლუზია, წარმო-მადგენლობა, უფლებები, სოციალური და ეკონომიკური შედეგები. ეს საჭიროა არა მხოლოდ მრავალწლიანი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, არამედ უფრო

სამართლიანი და მდგრადი სამყაროს შესაქმნელადაც. ქალები ყველაზე მეტად დაზარალდებიან პანდემიით, მაგრამ აღდგენით პროცესებში ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ყველა პოლიტიკა, რომელიც ამას აღიარებს, უფრო შედეგის მომტანი იქნება.

საკვანძო სიტყვები: ქალი, პანდემია, გამოწვევა, კრიზისი

ჩვენი **საკვლევი სფერო** იყო კორონავირუსის გავლენა ქალთა მდგომარეობაზე, რაც კონტენტ-ანალიზის მეშვეობით შევისწავლეთ. კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ თემის გარშემო არსებული ლიტერატურა, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო მონაცემები.

კვლევის **მიზანი** იყო დაგვედგინა და აგვეხსნა კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის მასშტაბები ქალთა მდგომარეობაზე და შეგვემუშავებინა გარკვეული რეკომენდაციები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, შევისწავლოთ გენდერული პრობლემების თავისებურებები კორონავირუსის პანდემიის ფონზე, რაც თითოეული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიულ ფასეულობებთან ზიარების გზაზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კოვიდ-19 პანდემია მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქალთა მდგომარეობის გაუარესებაზე, რაც აისახება მათ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, ფინანსურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში მთავრობებმა დაამტკიცეს მხარდაჭერის ფისკალური პაკეტები და გადაუდებელი რეაგირების ზომები მიიღეს კოვიდ-19-ის ზემოქმედების შესამცირებლად, ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა თანასწორი და ერთსულოვანი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

შესავალი

პანდემია აღრმავებს უკვე არსებულ უთანასწორობასა და დაუცველობას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტებში, რაც თავის მხრივ აისახება პანდემიის შედეგებზე. კოვიდ-19-ის გავლენა ქალებსა და გოგოებზე უფრო მწვავეა ყველა სფეროში, იქნება ეს ჯანდაცვა, ეკონომიკა, უსაფრთხოება თუ სოციალური დაცვა, მხოლოდ და მხოლოდ მათი სქესის გამო:

> **ეკონომიკური** გავლენა განსაკუთრებით მძიმეა იმ ქალებსა და გოგოებზე, რომლებიც ზოგადად გამოირჩევიან ნაკლები შემოსავალითა და დანაზოგით, არასტაბილური სამსახურით, ან იმყოფებიან სიღარიბის ზღვართან ახლოს.

> მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი ინფორმაციით, კოვიდ-19-ის შედეგად მამაკაცების სიკვდილიანობის მაჩვენებელი აჭარბებს ქალებისას, ქალთა **ჯანმრთელობაზე** უარყოფითად მოქმედებს რესურსებისა და პრიორიტეტების გადანაწილება, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებების მიმართულებებით.

> გაიზარდა **აუნაზღაურებელი შრომის** ოდენობა, რაც დაკავშირებულია სკოლების დახურვასა და ბავშვების სახლში ყოფნასთან, ხანდაზმული პირების მოვლის საჭიროებებსა და გადატვირთულ სამედიცინო სერვისებთან.

> კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვებისა და სოციალური იზოლაციის, ეკოლოგიური და სოციალური სტრესის შედეგად, საგრძნობლად იზრდება **გენდერული ნიშნით ძალადობა.** სერვისების შეფერხების გამო, ბევრი ქალი იძულებული ხდება იცხოვროს მოძალადესთან.

ეს ყველაფერი კიდევ უფრო მძიმდება შესუსტებული სოციალური დაცვის, შეზღუდული ინსტიტუციური მექანიზმებისა და მომსახურების პირობებში.

Covid 19-ის პანდემიის გავლენა ქალებზე

ეკონომიკური ზეგავლენა

კოვიდ-19 გლობალურ ეკონომიკაზე ღრმა გავლენას ახდენს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, სრულმა ან ნაწილობრივმა იზოლაციამ გავლენა მოახდინა თითქმის 2.7 მილიარდ დასაქმებულზე, რაც მსოფლიოს დასაქმებულთა დაახლოებით 81%-ია. (ორგანიზაცია, 2020:8)

კოვიდ-19-ის შედეგების შესახებ არსებული ცნობები იმაზე მეტყველებს, რომ პანდემიის არაპროპორციული და განსხვავებული გავლენა იკვეთება ქალთა ეკონომიკურ ცხოვრებაზე, მამაკაცებთან შედარებით. ქალები, იმ შტოს განეკუთვნებიან, რომლებიც უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ნაკლებს ზოგავენ, ნაკლებად გააჩნიათ სტაბილური სამუშაო ადგილები და უფრო მეტად არიან დასაქმებულები არაფორმალურ სექტორში. მათ ასევე წვდომის დეფიციტი აქვთ სოციალური დაცვის სისტემებზე და შეადგენენ მარტოხელა მშობლების უმრავლესობას.

ქალების მიერ მზრუნველობითი ფუნქციის შეთავსება სახლში ასევე არაპროპორციულად მოქმედებს სამსახურში მათ შემცირებასა და დროებით დათხოვნაზე. ეს ყველაფერი კი რისკის ქვეშ აყენებს ქალთა შრომითი უფლებების კუთხით მიღწეულ მყიფე შედეგებს. აღნიშნული ზღუდავს ქალთა შესაძლებლობას, დაეხმარონ საკუთარ თავს და ოჯახებს, რაც განსაკუთრებულად აისახება ისეთ ოჯახებზე, სადაც ქალებს აქვთ აღებული გაძღოლის პასუხისმგებლობა. ბევრ ქვეყანაში სამსახურიდან გათავისუფლების პირველი ეტაპი განსაკუთრებით მწვავე იყო მომსახურების სექტორში, მათ შორის, საცალო ვაჭრობის, სასტუმროებისა და ტურიზმის სფეროებში, სადაც ქალები მრავლად არიან წარმოდგენილნი. (ორგანიზაცია გ. ქ., 2020:15)

წარსულ გამოცდილებასა და ახლანდელ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, კოვიდ-19-ის გლობალური რეცესიის გავლენა ქალთა შემოსავალსა და დასაქმების შესაძლებლობებზე, გაცილებით უფრო ხანგრძლივი

იქნება. განსაკუთრებული დარტყმის ეპიცენტრში სიღარიბეში მცხოვრები ქალები აღმოჩნდებიან. ისინი კი, ვინც ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდის შედეგად შეძლეს უკიდურესი სიღარიბისთვის თავი დაეღწიათ, სავარაუდოდ, კვლავ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

გავლენა ჯანმრთელობაზე

პანდემიამ შესაძლოა გაართულოს ქალებისა და გოგოების წვდომა მკურნალობასა და ჯანმრთელობის სერვისებზე. ამას ამწვავებს მრავალი სახის უთანასწორობა, მათ შორის, ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის, ასაკის, რასის, გეოგრაფიული მდებარეობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რაც გავლენას ახდენს კრიტიკული ჯანდაცვის სერვისებზე წვდომასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე კოვიდ-19-ის შესახებ. (COVID-19-ის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე, 2020:4)

ქალებსა და გოგოებს ჯანმრთელობის სპეციფიკური საჭიროებები აქვთ. მათ ნაკლები წვდომა აქვთ ხარისხიანი ჯანდაცვის ჯანდაცვის სერვისებზე, აუცილებელ მედიკამენტებსა და ვაქცინებზე, დედებისათვის განკუთვნილ სერვისებსა და რეპროდუქციულ ჯანდაცვაზე, ან გეგმური სამედიცინო მომსახურებისა და უბედური შემთხვევების დაზღვევაზე. (ორგანიზაცია მ. ჯ., 2019:2)

აუნაზღურებელი შრომა და ზრუნვის ტვირთი

კოვიდ-19-ის გლობალურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა, რომ მსოფლიოს ფორმალური ეკონომიკა და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება დაფუძნებულია ქალთა და გოგოების უხილავ და უფასო შრომაზე. (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2020) მზრუნველობითი საჭიროებები საგრძნობლად გაიზარდა კოვიდ-19-ის პირობებში, რაც უკავშირდება ბავშვების სახლში ყოფნას სკოლების დახურვის გამო, ხანდაზმული

პირების და ოჯახის ავადმყოფი წევრების მოვლის საჭიროებებს და გადატვირთულ სამედიცინო სერვისებს. (გაერო ე. დ., 2019:7)

გენდერული ძალადობა

ქალთა მიმართ ძალადობა გლობალურად იზრდება, რადგან პანდემია იწვევს კონტაქტისა და გადაადგილების შეზღუდვას. ხალხმრავალი სახლები, სხვადასხვა ნივთიერებების მოხმარება, სერვისებზე შეზღუდული წვდომა და მხარდაჭერის შემცირება ამ პირობებს ამძაფრებს. კვლევების მიხედვით, პანდემიის დაწყებამდე, სამი ქალიდან ერთი განიცდიდა ძალადობას. დღესდღეობით ზემოხსენებული ქალების უმეტესი ნაწილი სახლებში არიან გამოკეტილი საკუთარ მოძალადეებთან ერთად.

ქალთა მიმართ ძალადობა ახალ სირთულეებს იძენს: მოძალადეები იყენებენ ქალების დახმარების თხოვნის ან გაქცევის შეზღუდულ შესაძლებლობას. ამასთანავე, პრობლემებია დამხმარე სერვისებზე წვდომის მხრივაც. შეიცვალა სასამართლო, საპოლიციო თუ ჯანდაცვის სამსახურების პრიორიტეტები, რომლებიც, როგორც წესი, პირველები რეაგირებდნენ და მიმართავდნენ გარკვეულ ღონისძიებებს ქალების მიმართ განხორციელებულ ძალადობის აღსაკვეთად ან გადატვირთულობის და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ დახმარებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსაც მოუწიათ რესურსების გადანაწილება, რადგან გადაადგილებაზე დაწესებულმა აკრძალვებმა გამოიწვია მათი შეზღუდვა. ძალადობის თავშესაფრების ნაწილი გადავსებულია, ნაწილი კი დაიკეტა ან სამედიცინო დაწესებულებად გადაკეთდა. (ორგანიზაცია, 2020:4)

ინოვაციური ვირტუალური გადაწყვეტილებები:

ჩინეთში დაიწყო კამპანია, რომელიც ონლაინ რესურსების საშუალებით ხელს უწყობს მსხვერპლ ქალებს დაარღვიონ დუმილი და გამოაშკარაონ ძალადობის ფაქტები, როგორც რისკები იზოლაციის პირობებში. ონლაინ და მობილური

სერვისების მიმწოდებლები მიმართავენ გარკვეულ ზომებს მსხვერპლი ქალების დასახმარებლად. მაგალითად, ასეთია უფასო ცხელი ხაზი **ანტიგუასა** და **ბარბუდაში**. **ესპანეთში,** გეოლოკაციის ფუნქციით აღჭურვილი სწრაფი შეტყობინების სერვისი ქალებს სთავაზობს ონლაინ სასაუბრო ოთახს, რომელიც დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ დახმარებას ძალადობისს მსხვერპლი ქალებისათვის. **არგენტინაში,** აფთიაქები გამოცხადდა უსაფრთხო ადგილებად, სადაც ქალებს შეუძლიათ განაცხადონ და დაასმინონ მოძალადეები. ანალოგიურად, **საფრანგეთში**, სასურსათო მაღაზიებში განთავსებულია დროებითი სერვისები, ხოლო ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, რომლებიც თავშესაფარს საჭიროებენ, ფინანსდება ღამის გათენება სასტუმროებში. **კოლუმბიის** მთავრობამ უზრუნველყო გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების ვირტუალურ რეჟიმში უწყვეტობა, მათ შორის, იურიდიული კონსულტაციები, ფსიქოსოციალური კონსულტაციები, საპოლიციო და სასამართლო სერვისები.

პანდემიის გავლენა ჰუმანიტარული პრობლემების მქონე ადგილებსა და ადამიანის უფლებებზე

კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია დამანგრეველ რისკებს უქმნის ქალებს და გოგოებს მოწყვლად და კონფლიქტურ ადგილებში. კრიტიკული ჯანმრთელობის, ჰუმანიტარული პროგრამების შეფერხებამ შეიძლება ფატალური შედეგები გამოიწვიოს ისეთ ადგილებში, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სისტემების გადატვირთულობა ან თითქმის არაარსებობა ფიქსირდებოდა. მოწყვლად ადგილებში დედათა სიკვდილიანობის 50%-ზე მეტი გამოწვეულია ორსულობისა და მშობიარობის გართულებებით, არსებული მდგომარეობა კი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაამძიმებს აღნიშნულ მაჩვენებელს. კონფლიქტურ ადგილებში, ქალები, რომლებიც მარგინალიზებულნი არიან დევნილობის, ლტოლვილობის, სოფელში ცხოვრების, სიღარიბისა თუ სხვა მიზეზთა გამო

იზოლაციაში იმყოფებიან, მიეწოდებათ დეზინფორმაცია და არ აქვთ ტექნოლოგიებზე სათანადო წვდომა.

თანასწორი და მდგრადი სამყაროს ფორმირებისთვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამი ძირითადი პრიორიტეტის გათვალისწინება:

1. **ქალთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა საპასუხო ზომების დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.** ფაქტები ყველა სფეროში, მათ შორის, ეკონომიკური და საგანგებო ზომების დეგეგმვის მიმართულებით, ცალსახად მიუთითებს, რომ ის პოლიტიკები, სადაც არ არის უზრუნველყოფილი ქალთა ჩართულობა კონსულტაციებსა თუ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, ნაკლებად ეფექტიანია და შესაძლოა საფრთხის შემცველიც იყოს. აუცილებელია როგორც ქალების, ასევე ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერა და ჩართულობა, რომლებიც ხშირად საზოგადოებებში არსებულ პრობლემებზე აქტიურად საუბრობენ.
2. **ტრანსფორმაციული ცვლილებების განხორციელება თანასწორობისათვის, ზრუნვის ტვირთის დარეგულირების გზით:** ფორმალურ მზრუნველობით სფეროში დასაქმებული ადამიანები, მასწავლებლებიდან დაწყებული, ექთნებით დამთავრებული, გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სხვა სექტორებში დასაქმებულები. სახლში კი ქალები უხილავ და არაანაზღაურებად სამუშაოს ასრულებენ. ორივე კატეგორიას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ეკონომიკაში, მაგრამ ისინი დიდწილად ეფუძნება გენდერულ ნორმებსა და უთანასწორობას.
3. **ქალებისა და გოგოების საჭიროებების გათვალისწინება კოვიდ 19-ის სოციალურ-ეკონომიკური გავლენების შესამსუბუქებელი ზომების დაგეგმვისას.** ფისკალური პაკეტებისა და სოციალური დახმარების პროგრამების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანი იქნება გენდერულად მგრძნობიარე

პოლიტიკის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს უკეთესი თანასწორობის, შესაძლებლობების და სოციალური დაცვის სისტემების შექმნას. (გაერო, 2020:3)

დასკვნა

პანდემია აძლიერებს და აღრმავებს ყველა არსებულ უთანასწორობას. ეს უთანასწორობები ერთგვარი საზომია, თუ ვინ ან რამდენად დაზარალდება, და როგორი იქნება ზიანის აღმოფხვრისაკენ მიმართული ძალისხმევა. კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ და მისმა სოციალურმა და ეკონომიკურმა გავლენებმა შექმნა უპრეცედენტო გლობალური კრიზისი გაეროს მუშაობის ისტორიაში და ის მოითხოვს მთლიანი საზოგადოების პასუხს, მისი სირთულიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე. თუმცა ეს პასუხები, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, მნიშვნელოვნად დასუსტდება, თუ არ გავიაზრებთ იმას, რამდენად უფრო დაუცველები ვართ კრიზისის უარყოფითი შედეგებისაგან სწორედ უთანასწორობების გამო ან თუ უბრალოდ გავიმეორებთ წარსულ პოლიტიკას და არ გამოვიყენებთ ამ მომენტს უფრო თანაბარი, ინკლუზიური და ძლიერი საზოგადოების ასაშენებლად.

კოვიდ-19-ის საპასუხო გეგმებსა და პაკეტებში, ასევე რესურსების განაწილების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს პანდემიის გენდერული გავლენები. ეს ნიშნავს შემდეგს: 1. ქალთა და ქალთა ორგანიზაციების ჩართვა კოვიდ-19-ის საპასუხო ზომების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; 2. უფასო მზრუნველობითი შრომის უთანასწორობების გარდაქმნა ახალ, ინკლუზიურ მზრუნველობით ეკონომიკად, რომელიც განკუთვნილი იქნება ყველასთვის; 3. სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შედგენა ქალთა და გოგონათა ცხოვრებასა და მათ მომავალზე ფოკუსირებით.

ქალებისა და გოგოების ეკონომიკის ცენტრად ქცევა ძირეულად გააუმჯობესებს და გააძლიერებს მდგრადი განვითარების შედეგებს ყველასთვის, დააჩქარებს აღდგენით პროცესებს და კვლავ დაგვაყენებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე.

ბიბლიოგრაფია

გაერო. (2020). *გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საქმეთა დეპარტამენტი, პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი N 58, "COVID-19: სოციალური კრიზისის მოგვარება ფისკალური სტიმულირების გეგმების საშუალებით.* Retrieved from https://www.un.org/development/desa/dpad/publication/un-desa-policy-brief-58-covid-19-addressing-the-social-crisis-through-fiscal-stimulus-plans/.

გაერო, ე. დ. (2019). *მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები 2019*. Retrieved from https://population.un.org/wpp/.

გაეროს ბავშვთა ფონდი, ს. გ. (2020). *ახალი ერა გოგოებისთვის:25 წლიანი პროგრესის შეფასება.* Retrieved from https://www.unicef.org/media/65586/file/A-new-era-for-girls-2020.pdf.

ორგანიზაცია. (2020). *კორონავირუსის დროს გამოკეტილ ოჯახებში ძალადობის ზრდა.* Retrieved from https://10daily.com.au/news/australia/a200326zyjkh/domestic-violence-spikes-during-coronavirus-as-families-trapped-at-home-20200327.

ორგანიზაცია, გ. ქ. (2020). *გაეროს ქალთა ორგანიზაციის გათვლები "COVID-19-ზე სახელმწიფოთა რეაგირების ოქსფორდის შეფასებების საფუძველზე.* Retrieved from https:/www.bsg.ox.ac.uk/research-projects/oxford-covid-19-government-response-tracker.

ორგანიზაცია, მ. ჯ. (2019). *გენდერული თანასწორობა ჯანდაცვის მუშაკებში:104 ქვეყნის ანალიზი.* Retrieved from https//apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/311314/WHO-HIS-HWF-Gender-WP1-2019.1-eng.pdf?ua+1.

საერთო პასუხისმგებლობა, გლობალური სოლიდარობა: რეაგირება COVID-19-ის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე". (2020). Retrieved from https://www.un.org/sites/Un2.Un.Org/Files/Sg_Report_Socio-Economic_Impact_Of_Covid19.Pdf.

COVID-19-ის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე. (2020). Retrieved from http://faculty.wcas.northwestern.edu/-mdo738/research/COVID19_Gender_March_2020.pdf.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი პანდემიის პირობებში

ქეთევან კაკაურიძე

უნივერსიტეტი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების ტენდენცია ახალმა COVID 19-ის ვირუსმა მთლიანად შეცვალა. სწორედ ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის ექსპერტების ყურადღების მიპყრობა ისეთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორზე, როგორიც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის საკითხია. „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის“ თანახმად როდესაც საბიუჯეტო შემოსავალი აჭარბებს საბიუჯეტო ხარჯს საქმე გვაქვს ბიუჯეტის დეფიციტთან. ეს კი ნიშნავს რომ ბიუჯეტს ფული არ ყოფნის ხარჯების დასაფარად. იზრდება ახალი ვალის აღების რისკი. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ვეღარ გადაიხდის ვალებს ცხადდება დეფოლდი. მსგავსი გარემო ინვესტიციისთვის საშიში და მიუღებელია, რაც ხდის უფრო სავალალო ვითარებას. ბიუჯეტის დეფიციტი მ.შ.პ.-თან შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს ხოლო მთავრობის ვალი იგივე მ.შ.პ.-თან შეფარდებით 60%-ს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ლაშა ხუციშვილის განცხადებთ, რომელიც მან პარლამენტში გამოსვლისის გააკეთა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს COVID 19-ის ვირუსთან ბრძოლა 7,2 მილიარდი ლარი დაუჯდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა დანახარჯები ჯანდაცვის კუთხით, რომელიც გაიზარდა 0,9 მილიარდი ლარით, 1,3 მილიარდი ლარი შეადგინა მოსახლეობის სოციალურად დაცვის პროგრამებმა, ხოლო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებები 3 მილიარდი ლარით გამისაზღვრა.

კოვიდპანდემიის გამო 2020-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გამოწვეულია ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების გაზრდლი დაფინანსებითა და ეკონომიკის აღდგენის პროცესის მხარდაჭერით.

მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის ზრდამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რამაც შეიძლება ინფლაციაზე დამატებითი წნეხის რისკი წარმოქმნას. თუ კი ბიუჯეტის დეფიციტი 2021 წელსაც დაგეგმილ 7.5%-ზე მეტად გაიზრდება საჭირო გახდება ახალი ვალის აღება ან მთავრობა იძულებული გახდება 2021 წლის ბიუჯეტი დააკორექტიროს. ახალი საგარეო ვალის აღება გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას დოლარი/ლარის გაცვლით კურსზე რადგან შემოვა უცხოური ვალუტის ნაკადი რომელიც დარეზევრდდება ეროვნულ ბანკში, ხოლო დაიხარჯება ლარებში. ეროვნული ბანკი იძულებული გახდება მუდმივი ინტერვენციით ამოიღოს ლარის მასა და დოლარი მიაწოდოს ბაზარს, სხვა

შემთხვევაში გაუფასურებული კურსი პოსტკოვიდურ პირობებში მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მეტწილად გამოწვეულია კოვიდ სიტუაციით ე.წ. „კოვიდ დეფიციტი“ და სავარაუდოა პანდემიის დასრულებასთან ერთად ისიც დასრულდება.

საერთაშორისო დახმარებების სახით სახელმწიფომ 2,1 მილიარდი აშშ დოლარის მოზიდვა შეძლო, რაც უდაოდ ძალიან კარგი შედეგია, თუმცა აუცილებელია მღებული რესურსის ეფექტურად დახარჯვა, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნებული იქნას ეპიდემიასთან ბრძოლაში მიღებული შედეგები. გამოიკვეთს ხარჯვის პრიორიტეტული ნაწილი, ხოლო ხარჯები თუ კი არ აუმჯობესებენ კოვიდ სიტუაციას ან არ ემსახურებიან ეკონომიკის გაჯანსაღებას, შეიკვეცოს.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით 2021 წლის აპრილის თვეში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მშპ-ის ზრდამ 44,8 % შეადგინა, ხოლო წლის დასაწყისიდან ოთხი თვის განმავლობაში საშუალო რეალურმა მაჩვენებელმა 8,1%.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2021 წელს ეკონომიკური ზრდა სამი სცენარით განიხილება: ბაზისური - 6 %-დან, ოპტიმისტური-10,2%-დან და პესიმისტური-4,3%-დან. პროგნოზირებენ მშპ-ის ზრდას და 2022 წლისთვის ვარაუდობენ 6,9 %-ს. რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, მიმდინარე წელს, ჩამოსცილდება 60 %-იან ზედა ზღვარს და 57 %-ით განისაზღვრება. ოპტიმისტური პროგნოზით საგარეო ვალი მშპ-თან მიმართებაში იქნება 55%-ის ფარგლებში. პროგნოზირებენ ტურიზმის უფრო სწრაფ ზრდასაც, ხოლო სამშენებლო სექტორში რეალურმა ზრდამ 110 %-ს მიაღწია და თითქმის გაუტოლდა 2019 წლის დონეს. ყოველივე ეს კი გამოიწვევს დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირების დინამიკას, რაც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიwww.geostat.ge
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://mof.ge
3. სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge

კორონავირუსის პანდემია და გეოპოლიტიკური გადატვირთვა: კოვიდ-19-ის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე

მადლენ პაპოშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

XXI საუკუნის მეორე დეკადის დასასრული ისეთი ყოვლისმომცველი და კრიზისული მოვლენით აღინიშნა, რომელიც დღესდღეობით თავისი გამანადგურებელი მოქმედებით მეორე მსოფლიო ომს თუ შეედრება. ე.წ. COVID-19-ის პანდემიამ მთელი პლანეტა მოიცვა და მსოფლიოს ყველა ქვეყანას თავისი დაღი დაასვა.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩინეთის ქალაქ უხანიდან გავრცელებული ვირუსის მასშტაბური ხასიათი პანდემიად იქნა გამოცხადებული, და მსოფლიო პანიკამ მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული მითითებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა, თითქმის ყველა სახელმწიფომ ეს ინსტრუქციები ბუკვალურად გაიგო, რასაც მოჰყვა აქამდე უპრეცედენტო ზომების გატარება: სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვა, ქვეყნის შიგნით ყოველგვარი არასასიცოცხლო საჭიროებების მქონე ობიექტების დახურვა, მოქალაქეების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვა.

პანდემიის გამოცხადებიდან დღემდე კამათი მიდის იმაზე, იყო თუ არა პანდემიის გამოცხადებისათვის საჭირო პროცედურული წესები დაცული და არსებობდა თუ არა პანდემიის გამოცხადების რეალური საჭიროება. კამათობენ აგრეთვე იმაზე, გამოაცხადა ჯანმომ პანდემია ოფიციალურად თუ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები გამოსცა. მაგრამ პანდემიით გამოწვეული მოცემულობა დაფიქსირდა, რამაც კორექტივები შეიტანა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში.

ჩვენი წინამდებარე სტატიის მიზანია, ზოგადად მიმოიხილოს, რა გავლენა მოახდინა COVID-19-მა საერთაშორისო პოლიტიკასა და ურთიერთობებზე და ასევე თვალი მიადევნოს იმ სიტუაციას, რაც დღეს ამ ყველასათვის ცნობილ კორონავირუსთან დაკავშირებით არსებობს.

კორონავირუსი COVID-19 - ბუნებრივი თუ ხელოვნური?

გაუგებრობები და ურთიერთბრალდებები ვირუსის წარმოშობის შესახებ არამარტო არ წყდება, არამედ დღითიდღე ახალ-ახალ დეტალებს იძენს.

თავდაპირველად, ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ღიად ადანაშაულებდა ჩინეთის მთავრობას მთელ რიგ საკითხებში: ვირუსის არსებობის შესახებ ინფორმაციის დაფარვა და მკაცრი ცენზურა; ვირუსთან ბრძოლის არაეფექტური ღონისძიებების გატარება; იმისი უარყოფა, რომ ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე გადადის; აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრთან თანამშრომლობაზე უარი; ვირუსის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება, შესაბამისად, პლანეტის პანდემიურ ვითარებაში ჩაყენება და იმ ეკონომიკური ზარალის დადგომა, რაც ქვეყნებმა განიცადეს.

აშშ-ს კონგრესმა, ჯერ კიდევ პანდემიის გამოცხადებამდე, ჩინეთის წინააღმდეგ მთელი რიგი დაგმობითი ხასიათის რეზოლუციები მიიღო. მათ შორის აღსანიშნავია რეზოლუცია N497, რომელიც ეძღვნება ექიმ ლი ვენლიანის[27] წვლილს კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. ამასთანავე, რეზოლუციაში ცალკე აქცენტი არის გაკეთებული ჩინეთში ჩინელი ხალხის უფლებებზე. სახელდობრ, მითითებულია, რომ აშშ მხარს დაუჭერს ჩინეთის მოსახლეობას და კერძოდ ჩინელ ხალხს, რომ მათ უზრუნველყოფილი ჰქონდეთ სიტყვის თავისუფლება.[28]

თუმცა, 2020 წელს ტრამპის მიერ გაჟღერებულმა ბრალდებებმა ვერც აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტის და ვერც მასმედიის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. აშშ-ს მთავარმა ინფექციონისტმა, ექიმმა ენტონი ფაუჩიმ ყველა ღონისძიებას მიმართა, რომ ვირუსი ბუნებრივი გადამტანის მიერ გავრცელებულ დაავადებად ეღიარებინათ. მას მხარი დაუჭირა მკვლევართა ჯგუფმა აშშ-დან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ყველა, ვინც ვირუსის ხელოვნურ წარმოშობაზე აპელირებდა (ასეთი მეცნიერები კი ცოტანი არ იყვნენ) „შეთქმულების თეორიის“ მხარდამჭერად მოიხსენიებოდნენ, ხოლო მათი ნაშრომები ფართო გაშუქებას და შესწავლას არ ექვემდებარებოდა.

2021 წლის გაზაფხულიდან სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ამას საფუძვლად დაედო 2021 წლის დასაწყისში ჯანმოს მიერ შექმნილი კომისიის ჩინეთში უშედეგო ვიზიტი - ვირუსის ბუნებრივი წარმოშობის უტყუარი დამადასტურებელი ფაქტები არ მოიძებნა. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის დასკვნაში ვირუსის გავრცელების ყველაზე მაღალალბათურ ვერსიად ბუნებრივი წარმოშობა ჩაიწერა, ჯანმოს გენერალურმა დირექტორმა ტედროს ადანომ გებრეისუსმა საინტერესო განცხადება

[27] ლი ვენლიანი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ახალი ვირუსის შესახებ განგაში ატეხა. აშშ მიიჩნევს, რომ მას აუკრძალეს ამ თემაზე საუბარი და, შესაბამისად, ვირუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაყოვნდა (ავტორის შენიშვნა).

[28] U.S. Congress, 2020. Senate Resolution 497. URL: https://www.congress.gov/bill/116th-congress/senate-resolution/497/text?q=%7B%22search%22%3A%5B%22china+COVID-19%22%5D%7D&r=17&s=2

გააკეთა. მან მიიჩნია, რომ ვირუსის ხელოვნური წარმოშობის საკითხი აუცილებლად გულდასმით უნდა იყოს შესწავლილი და გამოძიებული.[29]

ამას მოჰყვა ბრიტანელი სამეცნიერო ჟურნალისტის და მწერლის ნიკოლას ვეიდის (Nicholas Wade) მეტად საგულისხმო ანალიზი, რომელიც მან გააკეთა თავის ესეში „ვინ გახსნა პანდორას ყუთი უხანში - ბუნებამ თუ ადამიანებმა?".[30] ამ ანალიზში მოცემული ფაქტების მიხედვით, უხანის ლაბორატორიის კვლევებს აშშ აფინანსებდა შუამავალი ამერიკული კომპანიის მეშვეობით. რა თქმა უნდა, ამან კიდევ უფრო მეტი სივრცე შექმნა პოლიტიკური ბრალდებების წარმოშობისა და სიტუაციით მანიპულირებისთვის.

ამ ფონზე, თავისი აზრის დაფიქსირება არ დააყოვნა აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმაც. 2021 წლის ივნისში, ტრამპმა ჩინეთს 10 ტრილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა „დააკისრა". ტრამპის სიტყვებით, ეს ის თანხაა, რაც ჩინეთმა აშშ-ს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით უნდა გადაუხადოს. ტრამპის სიტყვებითვე, დანარჩენმა ქვეყნებმა უარი უნდა თქვან ჩინეთის მიერ გაცემული კრედიტების პროცენტების დაფარვაზე. ეს ბოლო წინადადება საკმაოდ საინტერესოდ ჟღერს იმ ჭრილში, რომ 2021 წლის მარტის მონაცემებით, ჩინეთი იაპონიის შემდეგ, აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კრედიტორს წარმოადგენს. კერძოდ, ჩინეთის მიერ გაცემული ვალის ოდენობა 1,1004 ტრილიონ დოლარს შეადგენს.[31]

დღეისათვის (2021 წლის ივნისი) ვირუსის წარმომავლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ პანდემიამ გააშიშვლა ის მწვავე საკითხები და პრობლემები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებობს.

~~ერთი ყველასათვის – ყველა ერთისათვის!~~ ყველა - თავისთვის.

პანდემიამ ნათლად დაანახა მსოფლიოს, რომ მიუხედავად გლობალისტების მთელი რიგი მცდელობისა, კრიტიკულ სიტუაციებში მოსახლეობა დახმარებას და გადარჩენას ელოდება არა ტრანსნაციონალური კომპანიებისაგან თუ უცხო ქვეყნებისაგან, არამედ საკუთარი სახელმწიფოსგან. სიტუაციის ასეთმა შემობრუნებამ წინა პლანზე წამოწია ნაციონალური სახელმწიფოს ცნება და მისი მნიშვნელობა.

„აღმოჩნდა", რომ ფორს-მაჟორულ სიტუაციებში მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული მთავრობაა პასუხისმგებელი საკუთარი მოქალაქეების

---

[29] COVID-19 origins report inconclusive: We must 'leave no stone unturned' – WHO chief, https://news.un.org/en/story/2021/03/1088702

[30] Origin of Covid — Following the Clues: Did people or nature open Pandora's box at Wuhan? https://nicholaswade.medium.com/origin-of-covid-following-the-clues-6f03564c038

[31] MAJOR FOREIGN HOLDERS OF TREASURY SECURITIES, https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt

უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობაზე, სამედიცინო თუ ფინანსურ დახმარებაზე და ა.შ. და მოქალაქეებიც, პირველ რიგში, მხოლოდ საკუთარ ქვეყანას ავალდებულებენ საჭირო ზომების გატარებას.

ნაციონალური სახელმწიფოს როლის დადებით ჭრილში გადაფასებამ, თავის მხრივ, გამოიწვია დეგლობალიზაციის მომხრეების კიდევ უფრო მეტი გააქტიურება, რაც გამოკვეთილად ვლინდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გლობალისტების მოსაზრება, რომ ნაციონალური დონე საკმარისი არ არის გლობალური მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად, აღარ ჰპოვებს ისეთ გამოხმაურებას, როგორსაც ადრე ჰპოვებდა. მეტიც, ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ გლობალიზმმა გამოიწვია პანდემია, რადგანაც გლობალური თავისუფლების პირობებში გამარტივებულია საერთაშორისო მიმოსვლა, რამაც გააადვილა ვირუსის გავრცელება სხვადასხვა ქვეყნებში.

თქმა არ უნდა, რომ ნაციონალური სახელმწიფოების გაძლიერება გამოიწვევს საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოების თანამშრომლობის პრობლემას. დღევანდელი რეალობის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მხოლოდ ნაციონალურ ინტერესებზეა დაფუძნებული, შესაბამისად, საკმაოდ მყიფეა. ინტერესების ან ძალთა ბალანსის შეცვლა მომენტალურად იწვევს ნებისმიერი შეთანხმების და ხელშეკრულების დარღვევას. ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოებისა და მულტიპოლარული წესრიგის პირობებში არსებობის პირობებში კიდევ უფრო გაძნელდება ინტერესთა შეთანხმება, შეიარაღების კონტროლი, საერთაშორისო ნორმების დაცვა.

შესაძლოა, ნაციონალური სახელმწიფოს როლი არ გამხდარიყო ასეთი მნიშვნელობის, მძაფრად რომ არ იკვეთებოდეს ისეთ საერთაშორისო გაერთიანებებს შიგნით არსებული პრობლემები, როგორიც ევროკავშირია. პანდემიამ ნათლად დაანახა საერთაშორისო საზოგადოებას ის უთანხმოებები და ურთიერთუნდობლობა, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებობს. უდავოა, რომ იმ დროს, როდესაც ევროკავშირის შიგნით უთანხმოება და ბუნდოვანება მატულობს, წევრ ქვეყნებს გაუჩნდებათ სურვილი ეძიონ ალტერნატიულ რეგიონალურ თუ საერთაშორისო პროექტებში ინტეგრაციის გზები.

სანქციების პოლიტიკა

2020 წლის 25 მარტს გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა კორონავირუსული ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგო და პანდემიის შედეგებთან ბრძოლის 80 გვერდიანი ჰუმანიტარული გეგმა წარადგინა. მისი სიტყვებით, „უპირველესს ყოვლისა, ეს (პანდემია) არის მთელი კაცობრიობის

კრიზისი, რაც მოითხოვს სოლიდარობას“.[32] გუტერეშმა „დიდი ოცეულის“ წევრებს შესთავაზა შეთანხმებულად ემოქმედათ, რათა პანდემიასთან ბრძოლა ეფექტური ყოფილიყო. მის გეგმაში ასევე აღნიშნული იყო, რომ საჭიროა სავაჭრო და სატარიფო შეზღუდვების პოლიტიკის გადახედვა და სანქციების მოხსნა იმისათვის, რომ ყველა ქვეყანას თანაბრად შეეძლოს პანდემიასთან ბრძოლა და მისი შეჩერება. გუტერეშის გეგმის რეალიზაციას 2 მილიარდი ევრო ესაჭიროებოდა, რომელიც მან „დიდი ოცეულის“ ქვეყნებს მოსთხოვა.

გუტერეშის ინიციატივას მხარი გაეროს ბევრმა მაღალჩინოსანმაც დაუჭირა, მათ შორის მიშელ ბაჩელეტმა და ხილალ ელვერმა. ასევე, გუტერეშმა მოსკოვის და პეკინის მხარდაჭერაც მოიპოვა. ჯერი აშშ-ზე იყო, რომელმაც ხანმოკლე დუმილის შემდეგ განაცხადა, რომ ის ხელს არ შეუშლიდა ჰუმანიტარული ტვირთების გადაადგილებას და სანქციებს ქვეშ მოქცეული ქვეყნებში მათ ტრანსპორტირებას, თუმცა, მოითხოვა მკაცრი კონტროლი, გამჭვირვალობა და კონტრაგენტების სკურპულოზული შემოწმება, რათა ჰუმანიტარული ტვირთები კორუფციული გარიგებებისა და სქემების საგანი არ გამხდარიყო.

მიუხედავად ამისა, პანდემიის მიმდინარეობიდან 4 თვის თავზე არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა გაუქმებული ცალმხრივი სანქციები, მეტიც, ზოგიერთი სანქციების ინიციატორი ქვეყანა განაგრძობდა მათ გამოყენებას და ახლების დაწესებას, ამასთან, ნეგატიური შინაარსის სანქციები აშკარად სჭარბობდა ნეიტრალური თუ პოზიტიური შინაარსის სანქციებს.[33]

დახმარების მოლოდინში

ამასობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველა ქვეყანამ თავისი ფინანსური თუ სხვა სახის წვლილი შეიტანა პანდემიასთან ბრძოლაში და სახელმწიფოთა დახმარებაში. ამან ცხადჰყო, რომ ერთი მხრივ, ერი-სახელმწიფოების მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა, რადგან ქვეყნებს საკუთარ საზღვრებში უწევდათ პანდემიასთან გამკლავება, ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ სახელმწიფოებს შორის კოორდინირებული მოქმედებების და საერთაშორისო მედიაციის პირობებში გახდებოდა შესაძლებელი პანდემიასთან ბრძოლა და მისი შეკავება. მოსალოდნელი იყო, რომ ქვეყნები მჭიდროდ ითანამშრომლებდნენ ისეთი მნიშვნელოვანი საკაცობრიო საკითხის გადაწყვეტაზე, როგორიც ვაქცინა და მისი დამზადებაა. მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ვაქცინის შექმნა და გავრცელება ქვეყნებს შორის კიდევ ერთი უთანხმოების და ურთიერთბრალდებების საფუძველი გახდა.

---

[32] https://www.un.org/en/un-coronavirus-communications-team/above-all-human-crisis-calls-solidarity - This is, above all, a human crisis that calls for solidarity

[33] https://irjournal.spbu.ru/article/view/10329/7430 - COVID-19 и политика санкций: опыт ивент-анализа

„პერსპექტიული მმართველობითი გადაწყვეტილებების ცენტრის“ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რუსეთმა დახმარება 46 ქვეყანას გაუგზავნა.[34] პირველ რიგში აქცენტი გაკეთდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ამ რეგიონისა და მოსაზღვრე სახელმწიფოების დახმარებაზე. რუსეთმა დახმარება შესთავაზა ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

რაც შეეხება ჩინეთს, უპირველეს ყოვლისა, მან არნახულ წარმატებებს მიაღწია ვირუსთან ბრძოლაში. მის მიერ გატარებულმა „დრაკონულმა ზომებმა“, რომლებიც დასავლელი პოლიტიკოსების და პრესის კრიტიკის საგანი გახდა, არნახული შედეგი გამოიღო - ჩინეთმა ვირუსის ლოკალიზება სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ეფექტურად და დროულად შეძლო. იმ დროს, როდესაც დანარჩენი მსოფლიო ის-ის იყო იწყებდა ვირუსთან ბრძოლას, ჩინეთში ვირუსის მატარებლები მხოლოდ საზღვარგარეთიდან ჩამოსული ადამიანები იყვნენ.

შესაბამისად, ჩინეთს, რომელიც თავდაპირველად თვითონ იყო ჰუმანიტარული დახმარების ობიექტი, მიეცა შესაძლებლობა საპასუხო დახმარება აღმოეჩინა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის და მათ შორის ევროპის იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც ბრიუსელისგან დახმარება ვერ მიიღეს. პირველ რიგში, ესენი არიან ევროკავშირში შემავალი იტალია და ესპანეთი, და სერბეთი, რომელსაც ევროკავშირმა უარი განუცხადა დახმარებაზე.

გვერდით არ დარჩა ასევე ჩინელი მილიარდერი, ალიბაბას დამფუძნებელი ჯეკ მა. მისმა ფონდმა დახმარება გააგზავნა როგორც აფრიკის ყველა ქვეყანაში (20 ათასი კომპლექტი ტესტირებისათვის, 100 ათასი ნიღაბი და ათასი დამცავი კოსტიუმი და სახის ფარი თითოეული ქვეყნისათვის), ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში (1 მილიონი ნიღაბი და რამდენიმე ასეული ათასი ტესტი).

ჩინეთის დიდი წვლილის შესახებ ევროკავშირის ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის საკითხში განცხადება გააკეთა ჯანმოს პრეზიდენტმაც.

KFF-ს საიტზე მოცემულია დეტალური ინფორმაცია, თუ რა დახმარება აღმოუჩინა აშშ-მ დანარჩენ სახელმწიფოებს პანდემიის გაჩაღებიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით (იხ. სლაიდები ქვემოთ).[35]

---

[34] https://cpur.ru/research_pdf/russian-anti-covid-aid-2020.pdf - Гуманитарная помощь против коронавируса. Кому и как помогала Россия во время пандемии COVID-19?

[35] https://www.kff.org/global-health-policy/issue-brief/u-s-global-funding-for-covid-19-by-country-and-region/ - U.S. Global Funding for COVID-19 by Country and Region

Figure 1

U.S. Committed Global COVID-19 Funding: A Timeline



NOTES: Reflects commitments from U.S. Department of State/USAID as of August 21, 2020.
SOURCES: U.S. Department of State press releases, fact sheets, and KFF special data request.

KFF
HENRY J. KAISER FAMILY FOUNDATION

Figure 2: Overview of U.S. Global COVID-19 Funding



NOTE: Reflects country, regional, and worldwide programs receiving U.S. assistance for COVID-19 efforts, announced as of August 21, 2020. Estimated total funding for regions and worldwide programs represents approximate funding amounts as reported by the State Department through USAID and the State Department only. Total funding was calculated using overall estimates reported by State for the following accounts: Emergency Reserve Fund (ERF), Global Health Programs (GHP), International Disaster Assistance (IDA), Migration and Refugee Assistance (MRA), and Economic Support Fund (ESF). Worldwide funding includes $250 million for the procurement of ventilators.
SOURCE: U.S. Department of State fact sheets, press releases, and special data request.

KFF

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე არაპოლიტკორექტულმა ჟესტმა თავისი უარყოფითი კვალი დატოვა საერთაშორისო საზოგადოებაში.

ლიბერალური დემოკრატია და მორალური რეალიზმი

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიო ლიდერის როლი მოიპოვა და დღემდე პრეტენზიას აცხადებს ერთპიროვნულ ჰეგემონობაზე. თუმცა XXI საუკუნემ თავისი კორექტივები შეიტანა მსოფლიო ძალთა გადანაწილებაში და დღევანდელ დღეს მულტიპოლარული წესრიგის დამყარებისკენ მიმავალი გზა სულ უფრო და უფრო იკვეთება. ლიდერთა პოზიციას თავდაჯერებულად იკავებენ რუსეთი და ჩინეთი, ხოლო ანგარიშგასაწევ რეგიონალურ ძალებად გვევლინებიან ირანი და თურქეთი. ცალკე აღსანიშნავია ევროკავშირი, რომელიც ახლა ვაშინგტონის უდავო მოკავშირედ გვევლინება, მაგრამ სადაც სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ანტიამერიკული მოწოდებები, რაც გამოიხატება აშშ-ს ვასალის მდგომარეობით უკმაყოფილებაში. ამასთანავე, მძაფრდება პრორუსული განწყობები, სულ უფრო მეტი პოლიტიკოსი გამოდის წინადადებით, დალაგდეს რუსეთთან ურთიერთობა და მოიხსნას რუსეთისთვის დაწესებული სანქციები.

აშშ-ს, რუსეთსა და ევროკავშირს შორის გაძლიერებული კონფრონტაციის ფონზე ჩინეთი არღვევს თავისი ბოლო წლების სტრატეგიას - არ მიიქციოს ზედმეტი ყურადღება და სულ უფრო ხშირად აპელირებს მულტიპოლარული წესრიგის პრიორიტეტულობაზე. 2021 წლის ივნისში ჩატარებულ „დიდი შვიდეულის“ სამიტს და მასზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ლონდონში განთავსებული ჩინეთის საელჩო ასე გამოეხმაურა: „ქვეყნები, დიდი იქნება თუ პატარა, ძლიერი თუ სუსტი, ღარიბი თუ მდიდარი, თანასწორი არიან და მსოფლიოს საკითხები ყველა ქვეყანასთან კონსულტაციით უნდა გადაიჭრას“.[36]

ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებული ჩინეთის განცხადებების ფონზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩინელ მეცნიერს იან სუიეტუნს და მისი „მორალური რეალიზმის“ კონცეფციას. 2016 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „Political Leadership and Power Redistribution“,[37] იან სუიეტუნმა წარმოადგინა ახალი თეორია, რომლის თანახმადაც ჩინეთს, მორალურ რეალიზმზე დაყრდნობით,

---

[36] https://1tv.ge/news/chineti-didi-shvideulis-qveynebs-afrtkhilebs-rom-dasrulda-dro-roca-globaluri-gadawyvetilebebi-qveyanata-mcire-jgufis-karnakhit-miigheboda/ - ჩინეთი „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებს აფრთხილებს, რომ დასრულდა დრო, როცა გლობალური გადაწყვეტილებები ქვეყანათა „მცირე“ ჯგუფის კარნახით მიიღებოდა

[37] http://www.imir.tsinghua.edu.cn/publish/iis/7239/20160307/53421457338633578.pdf - Political Leadership and Power Redistribution

შეუძლია შეცვალოს აშშ-ს მსოფლიო ლიდერობა და თვითონ მოგვევლინოს ახალ ჰეგემონად.

დამკვირვებლისთვის ეჭვგარეშეა, რომ აშშ ჩინეთისაგან წამოსულ საფრთხეს სერიოზულად აღიქვამს, რაც გამოიხატება სულ უფრო გაძლიერებულ შიდა თუ გარე პროპაგანდაში, ჩინეთისათვის გამოცხადებულ სავაჭრო ომში და დაწესებულ სანქციებში. ჩინეთთან გამწვავებული კონკურენციის ფონზე, რუსეთმაც კი, რომელიც აქამდე აშშ-ს ნომერ პირველ მტერს წარმოადგენდა, უკანა პლანზე გადაიწია.

მეტიც, რამდენიმე ექსპერტის აზრით, 2021 წლის 16 ივნისს ჟენევაში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის გამართულ შეხვედრაზე ბაიდენის ერთადერთი მიზანი იყო, რომ რუსეთი, რომელსაც ჩინეთთან მჭიდრო პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ურთიერთობები აკავშირებს, აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად გადაებირებინა. მათი აზრითვე, ამასვე ემსახურება ის დათმობა, რაც შეერთებულმა შტატებმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-თან დაკავშირებით გააკეთა.

დაპირისპირების დასასრული

გლობალურ პოლიტიკურ ურთიერთობებში დღეს შექმნილი სიტუაცია კრიტიკულ ზღვარზეა მისული. ერთადერთი საკითხი, რომელშიც საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სუბიექტი თანხმდება არის ცვლილებების აუცილებლობა. გაეროს, რომელსაც დღეს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უნდა ეჭიროს ყველა მნიშვნელოვანი გლობალური საკითხების მოგვარებაში, არ გააჩნია საკმარისი ბერკეტები ამ ფუნქციის შესასრულებლად და ეს პანდემიამაც დაგვანახა. არ არსებობს საერთაშორისო რეგულაციური ზომები, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად მისაღები იქნება.

2008 წლის კრიზისის შემდეგ, რაც ლიბერალური დემოკრატია და ღირებულებები განვითარების ერთადერთ ალტერნატივას აღარ წარმოადგენს, აშშ-ს და მისი მოკავშირეების მიერ აქტიურად დაიწყო ყველაზე დიდი კონკურენტების - რუსეთის და ჩინეთის დემონიზირება და მათი შეკავების პოლიტიკა. ამისათვის ყველანაირი საშუალება გამოიყენება, დაწყებული პროპაგანდიდან, დამთავრებული სანქციებით.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო საზოგადოება ერთპოლუსიანობას, და მით უმეტეს საკუთარი ხედვების დაჟინებით, ზოგჯერ ძალისმიერი და პოლიტიკური შანტაჟის გამოყენებით დანერგვის მცდელობებს კატეგორიულად არ ეთანხმება და ცდილობს თავი დაიცვას აგრესიისაგან. ეს იწვევს დასავლეთის არა მარტო გაოცებას, არამედ დიდ შეშფოთებას - დასავლელი ლიდერები თვალნათლივ ხედავენ, თუ როგორ ეცლებათ ხელიდან თითქოსდა გამყარებული პოზიციები და ვერ ხვდებიან ამის გამომწვევ მიზეზებს, შესაბამისად, ყველა ღონეს მიმართავენ, რომ სიტუაცია უკან შემოაბრუნონ.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ბევრი ექსპერტი თუ მკვლევარი ეთანხმება. ამან ის შედეგი მოგვცა, რომ მრავალმა მათგანმა პანდემია გლობალისტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებად გამოაცხადა. ასეთი აზრის განმტკიცებას ხელი შეუწყო 2020 წლის ივლისში კლაუს შვაბის მიერ დაწერილმა წიგნმა „დიდი გადატვირთვა“ (Great Reset), და შემდგომ 2020 წლის ნოემბერში აშშ-ს პრეზიდენტობის არჩევისას განვითარებულმა მოვლენებმა. ამას დაემატა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პანდემიის გამომწვევი ვირუსის ხელოვნური წარმოშობის შესახებ გაჩენილი ეჭვები და ეს საკმარისი გახდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ვითარება კიდევ უფრო დაძაბულიყო.

მოვლენების ასეთი განვითარება აიძულებს სხვადასხვა ქვეყნებს, რომლებიც არ იზიარებენ გლობალისტების და ნეოლიბერალების მიერ თავს მოხვეულ ღირებულებებს, ეძებონ გამოსავალი კოალიციის შეკვრაში. ეს დროებით, თუმცა არასრულად ცვლის ძალთა ფარდობას, და აჩენს გლობალური კონფლიქტების წარმოშობის კიდევ უფრო მეტ საშიშროებას. ხოლო ეს უკანასკნელი, ბირთვული იარაღის არსებობის ხანაში, საფუძვლიან შეშფოთებებს იწვევს.

ისმის შეკითხვა: როგორ შეიძლება არსებული კრიზისული სიტუაციის მოგვარება და საერთაშორისო ურთიერთობების დალაგება? შესაძლებელია კი გლობალურ პოლიტიკაში არსებული კონფლიქტების სრული გადაჭრა, ისე რომ ყველა მხარის ინტერესი დაცული იყოს?

ამ კითხვებზე პასუხი ქართული სამეცნიერო სკოლის წიაღში მოიძებნება. კერძოდ, ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას მიერ შექმნილია ახალი თეორია კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგია („კრნ“)[38][39].

კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგია დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის განვითარებას წარმოადგენს და გვაძლევს ისეთი საკამათო ცნებების მეცნიერულად დასაბუთებულ განმარტებებს, როგორიცაა “პიროვნება”, „ერი“, „ცივილიზაცია“ და სხვა.

ამასთანავე, კრნ-ს მეშვეობით განიმარტება ერთა ტიპები და მათთვის დამახასიათებელი საერთო თვისებები. კრნ-ს მიხედვით, ერი არის არა ეროვნული ან ტერიტორიული ნიშნით, არამედ ფსიქოლოგიური ნიშნით გაერთიანებული ხალხის ერთობლიობა. თეორიის მიხედვით, არსებობს ერთა 4 ტიპი: მართვის, ფორმის, ძლევის და ცხრომის (რაშიც რელაქსაცია უნდა ვიგულისხმოთ) მანიის ტიპის ერები. იმისათვის, რომ კაცობრიობამ კორექტულად იფუნქციონიროს, საჭიროა ოთხივე ტიპის ერის თანაბარი ჩართულობა.

---

[38] ხვიჩია, ე. (2004). ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი

[39] ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია - თვითკმარი არსებობის ლოგიკა - საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა გამომცემლობა "ახალი პარადიგმა". თბილისი

ქართველი ერი მართვის მანიის ტიპის ერს მიეკუთვნება. ასევე, მართვის მანიის ტიპის ერებს მიეკუთვნებიან ირლანდიელები, შოტლანდიელები, კორსიკელები და რამდენიმე სხვა მცირე ერი.

კრნ-ს მიხედვით, ყველა ტიპის ერს თავისი ძირითადი როლი გააჩნია, რომლითაც ის სასარგებლო იქნება მთელი ცივილიზაციისათვის, ანუ კაცობრიობისთვის:

- მართვის მანიის ტიპის ერები - სხვადასხვა ტიპის ერებს შორის ურთიერთობის მოდერაცია;
- ფორმის მანიის ტიპის ერები - მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება;
- ძლევის მანიის ტიპის ერები - ფორმის მანიის ერებს შორის კონფლიქტების პრევენცია;
- ცხრომის მანიის ტიპის ერები - ვაჭრობა და ფინანსები, უცხო ცივილიზაციებთან ურთიერთობა.

კრნ-ის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ ერებს შორის სწორი ფუნქციური გადანაწილება გამოიწვევს გლობალური კონფლიქტების მოგვარებას. და ამაში უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი მართვის მანიის ტიპის ერებს და კერძოდ, ქართველ ერს უჭირავს.

სწორედ ის ფაქტი, რომ მართვის მანიის ტიპის ერები დღეს უფუნქციოდ არიან დარჩენილნი და არ შეუძლიათ პირდაპირი თვითგამოხატვა მსოფლიო მასშტაბით, ანუ არ შეუძლიათ საერთაშორისო პროცესებში ჩაერიონ, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები, განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობებში კრიზისული პროცესების დაუძლევლობას. კრნ-ს მიხედვით, მხოლოდ მართვის მანიის ტიპის ერებს შეუძლიათ სამი დანარჩენი ტიპის ერების დანახვა და მიღება. დანარჩენი ტიპის ერები ერთმანეთს მხოლოდ გამაღიზიანებელ, ხელისშემშლელ ფაქტორებად განიხილავენ და საკუთარი ღირებულებების წინ წამოწევასა და დანარჩენების დასუსტებას ცდილობენ.

კვანტურ-რელატივისტურ ნოოლოგიის შინაარსზე დაყრდნობით იქნა მიღებული „ოპტიმალიზმის დოქტრინა“. ოპტიმალიზმის დოქტრინის მიხედვით უნდა შეიქმნას ახალი ტიპის საერთაშორისო ოთხპალატიანი ორგანიზაცია, იგივე განათლებულ (ანუ მეცნიერულ დონეზე განვითარებულ) ერთა ორგანიზაცია, რომელშიც მართვის მანიის კლასის ერს ექნება მოდერატორის (ანუ თანხმობის პროცესების ინიცირების) ფუნქცია.

ოპტიმალიზმის დოქტრინის მიხედვით, მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები ოთხპალატიანმა განათლებულ ერთა თანხმობის ორგანიზაციამ უნდა მართოს. ერებს შორის კონკურენცია კი უნდა გაგრძელდეს თემატურად შესაფერის პალატაში, თითოეული პალატა გარკვეული ვადით აირჩევს თავმჯდომარე ეროვნულ

სახელმწიფოს. მართვის მანიის კლასის ერებში ერთ-ერთი თავმჯდომარეობის კანდიდატი ვიქნებით ჩვენ, ქართველები.

ცხადია, პროცესები შეიძლება სხვაგვარად განვითარდეს, ანუ არაოპტიმალურად. მაგრამ ქართველებმა მაქსიმალურად უნდა ვცადოთ დანარჩენი სამი ტიპის გიგანტურ ეროვნულ სახელმწიფოებს შორის (აშშ, რუსეთი და ჩინეთი) შევასრულოთ შემათანხმებელი როლი და წარვუდგინოთ ისინი ერთმანეთს.

ბიბლიოგრაფია

1. ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია - თვითკმარი არსებობის ლოგიკა - საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. გამომცემლობა "ახალი პარადიგმა". თბილისი.
2. ხვიჩია, ე. (2004). ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი
3. თორაძე, ს. ჩინეთი „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებს აფრთხილებს, რომ დასრულდა დრო, როცა გლობალური გადაწყვეტილებები ქვეყანათა „მცირე“ ჯგუფის კარნახით მიიღებოდა (2021). პირველი არხი - https://1tv.ge/news/chineti-didi-shvideulis-qveynebs-afrtkhilebs-rom-dasrulda-dro-roca-globaluri-gadawyvetilebebi-qveyanata-mcire-jgufis-karnakhit-miigheboda/
4. Эксперты оценили угрозу новой холодной войны на фоне пандемии (2020, 23 ноя). Деловое Информационное Пространство РБК. https://www.rbc.ru/politics/23/11/2020/5fb96d089a79474bf44de18f
5. Шакиров О.И., Петросян М. К, Соловьев Д.Б. (2020). Аналитическая записка - Гуманитарная помощь против коронавируса. Кому и как помогала Россия во время пандемии COVID-19? - https://cpur.ru/research_pdf/russian-anti-covid-aid-2020.pdf
6. Чинкова, Е. (2020). Зараза заразой, а информационная война по расписанию»: как пандемия влияет на международные отношения. https://russian.rt.com/world/article/748194-pandemiya-informacionnaya-voina
7. Тимофеев, И. Н. COVID-19 и политика санкций: опыт ивент-анализа (2020). Вестник СПбГУ. Международные отношения. Т. 13. Вып. 4 - https://irjournal.spbu.ru/article/view/10329/7430
8. Тимофеев, И. Н. (2020). COVID-19 и политика санкций: опыт ивент-анализа. Вестник СПбГУ. Международные отношения. Т. 13. Вып. 4 https://irjournal.spbu.ru/article/view/10329/7430
9. Санкционные политики великих держав: эффекты для международной системы (2021, 2 июня). РСМД.

https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/sanktsionnye-politiki-velikikh-derzhav-effekty-dlya-mezhdunarodnoy-sistemy/

10. Портякова, Н. (4 января 2021). Год синофобии в век Китая: как пандемия повлияла на отношение к КНР - И с помощью чего Пекин противостоит раздуванию антинациональных настроений - https://iz.ru/1100553/nataliia-portiakova/god-sinofobii-v-vek-kitaia-kak-pandemiia-povliiala-na-otnoshenie-k-knr
11. Помочь сможет только Китай". Коронавирус поставил под вопрос европейскую солидарность (2020, 19 MAP). Тасс - https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/8014475
12. Пандемия не смягчила конфронтацию, а стала одной из ее арен (2020). Коммерсантъ https://www.kommersant.ru/doc/4315911
13. МЕЖДУНАРОДНЫЕ УГРОЗЫ 2021: Геополитика после пандемии https://mgimo.ru/upload/iblock/a1a/int-threats-2021.pdf
14. Люди всегда на первом месте: Какая стратегия у Китая в борьбе с COVID (2021). Российской газеты - https://rg.ru/2021/05/12/liudi-vsegda-na-pervom-meste-kakaia-strategiia-u-kitaia-v-borbe-s-covid.html
15. Лидеры G7 приняли итоговое заявление саммита (13 ИЮН 2021) https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/11638121
16. КНР выделит $2 млрд пострадавшим от пандемии странам (2020). https://russian.rt.com/world/news/747584-knr-pandemiya-koronavirus
17. Китай выразил протест Великобритании из-за доклада о правах человека в Гонконге (2021, 11 ИЮН). ТАСС - https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/11625009
18. Западные страны признали кризис лидерства (2020, 16 фев). Деловое Информационное Пространство РБК - https://www.rbc.ru/politics/16/02/2020/5e47a5299a7947b1f0dac4cf?
19. Дипломат США заявил, что эпидемию COVID-19 можно было удержать в Ухане - ПАНДЕМИЯ КОРОНАВИРУСА (2020). Интерфакс - https://www.interfax.ru/world/773081
20. Глобальный антивирус - Как страны мира помогают друг другу в борьбе с COVID-19 - kommersant (2020) - https://www.kommersant.ru/doc/4301344
21. Габуев А., Ковачич Л. (2021). Товарищи по твитам: становятся ли Россия и Китай партнерами в информационной сфере? Московский Центр КАРНЕГИ - https://carnegie.ru/2021/06/11/ru-pub-84741
22. В МИДе оценили потери мировой экономики в пандемию (2021). Ведомости - https://www.vedomosti.ru/economics/news/2021/03/26/863291-v-mide-otsenili-poteri-mirovoi-ekonomiki
23. В КНР заявили, что США мешают выявить происхождение коронавируса - ПАНДЕМИЯ КОРОНАВИРУСА (2021). Интерфакс - https://www.interfax.ru/world/760182

24. Байден пригласил президента Израиля Ривлина в Белый дом Политика, (2021, 19 июн). РБК - https://www.rbc.ru/rbcfreenews/60ce50079a79474f172c0137
25. Байден и Путин после встречи в Женеве проведут пресс-конференции отдельно (2021, 12 июн). Деловое Информационное Пространство РБК. https://www.rbc.ru/rbcfreenews/60c4958b9a79471d75439880
26. Арбатова, Н. (2020). Коронавирусный тест мировой политики. Сценарий "общего врага" в отношении COVID-19 не сработал. https://www.ng.ru/dipkurer/2020-11-29/9_8026_test.html
27. Американо-китайские отношения: к новой холодной войне? (2021, 10 июня). РСМД. https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/amerikano-kitayskie-otnosheniya-k-novoy-kholodnoy-voyne/
28. Yan, X. (2016). Political Leadership and Power Redistribution - The Chinese Journal of International Politics, Volume 9, Issue 1, Pages 1–26. - https://academic.oup.com/cjip/article/9/1/1/2365941?login=true
29. Wade, N. (2021, May). Origin of Covid — Following the Clues: Did people or nature open Pandora's box at Wuhan? - https://nicholaswade.medium.com/origin-of-covid-following-the-clues-6f03564c038
30. US-China relations: Blinken accuses China of acting more aggressively (2021). BBC NEWS - https://www.bbc.com/news/world-us-canada-56967211
31. U.S. Congress, 2020. Senate Resolution 497. https://www.congress.gov/bill/116th-congress/senate-resolution/497/text?q=%7B%22search%22%3A%5B%22china+COVID-19%22%5D%7D&r=17&s=2
32. U.S. Congress (2020), The COVID-19 Accountability Act. Summary - https://www.hydesmith.senate.gov/sites/default/files/2020-05/COVID-19%20Accountability%20Act%20-%20Summary.pdf
33. U.N. Human Rights Office of the High Commissioner. U.N. (2020), Rights Expert Urges Governments to Save Lives by Lifting All Economic Sanctions Amid Covid-19 Pandemic, https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=25769&LangID=E
34. U.N. General Assembly (2020), Global Solidarity to Fight the Coronavirus Disease 2019 (COVID-19), April 2. Available at: https://undocs.org/en/A/RES/74/270
35. Tucker: Why would America's media take China's side amid coronavirus pandemic? (2020). FoxNews - https://www.youtube.com/watch?v=5W9vjsFQUUU
36. Tucker: The left doesn't want Joe Biden to debate President Trump (2020, 9 July). FoxNews - https://www.youtube.com/watch?v=eERIBBCBZcY
37. Tucker: How Chinese spies gained access to Washington elites (2020, 9 Dec). FoxNews - https://video.foxnews.com/v/6215033365001#sp=show-clips
38. The White House (2020), Memorandum on Visa Sanctions. https://www.white-house.gov/presidential-actions/memorandum-visa-sanctions/

39. Stein, J., Leonnig, C. D., Dawsey, J., Shih, G. (2020, May 1). U.S. officials crafting retaliatory actions against China over coronavirus as President Trump fumes - https://www.washingtonpost.com/business/2020/04/30/trump-china-coronavirus-retaliation/
40. Smith, B. (2020). Coronavirus: Sanctions and Humanitarian Crises, Briefing Paper, House of Com-mons Library - https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/CBP-8913/CBP-8913.pdf
41. Shih, G. (2021). China turbocharges bid to discredit Western vaccines, spread virus conspiracy theories - https://www.washingtonpost.com/world/asia_pacific/vaccines-coronavirus-china-conspiracy-theories/2021/01/20/89bd3d2a-5a2d-11eb-a849-6f9423a75ffd_story.html
42. Rosenberg, E., Harrell, P. & Feng, A. (2020), A New Arsenal for Competition. Coercive Economic Measures in the U.S.—China Relationships, Center for New American Security Report. https://www.cnas.org/publications/reports/a-new-arsenal-for-competition
43. Moss, K., Oum, S., Kates, J. (2020, Oct 23). U.S. Global Funding for COVID-19 by Country and Region - KFF - Global Health Policy - https://www.kff.org/global-health-policy/issue-brief/u-s-global-funding-for-covid-19-by-country-and-region/
44. MAJOR FOREIGN HOLDERS OF TREASURY SECURITIES - of the Treasury/Federal Reserve Board (2021, June 15). - https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txtDepartment
45. Kurlantzick, J. (2020). China thinks the pandemic will make it the world's new leader. It won't. - https://www.washingtonpost.com/outlook/china-uses-the-pandemic-to-claim-global-leadership/2020/05/21/9b045692-9ab4-11ea-ac72-3841fcc9b35f_story.html
46. Haenle, P., Tcheyan, L. (2020, June). How the World Is Responding to a Changing China - CARNEGIE - ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE - https://carnegieendowment.org/2020/06/10/how-world-is-responding-to-changing-china-pub-82039
47. Guterres, A. (2020). This is, above all, a human crisis that calls for solidarity - https://www.un.org/en/un-coronavirus-communications-team/above-all-human-crisis-calls-solidarity
48. Foreign Assistance for Coronavirus (COVID-19) - U.S. DEPARTMENT of STATE - COVID-19 Recovery. Foreign Assistance - https://www.state.gov/foreign-assistance-for-coronavirus-covid-19/
49. Finnegan, C. (2021). Joe Biden's top foreign policy challenges in 2021 - https://abcnews.go.com/International/joe-bidens-top-foreign-policy-challenges-2021/story?id=74607315
50. European Union External Action (2020). Implications of COVID-19 for the External Action of the EU: Remarks by HR/VP Josep Borrell at the AFET-SEDE-DROI Committee - https://eeas.eu-ropa.eu/headquarters/headquarters-homepage/77766/implications-covid-19-external-action-eu-remarks-hrvp-josep-borrell-afet-sede-droi-committee_en
51. European Council (2020), Declaration by the High Representative Josep Borrell on Behalf of the EU on the UN Secretary General's Appeal for an Immediate Global Ceasefire -

https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2020/04/03/declaration-by-the-high-representative-josep-borrell-on-behalf-of-the-eu-on-the-un-secretary-general-s-appeal-for-an-immediate-global-ceasefire/

52. European Commission (2020). Commission Guidance Note on the Provision of Humanitarian Aid to Fight the COVID-19 Pandemic in Certain Environments Subject to EU Restriction Measure - https://ec.europa.eu/info/sites/info/files/business_economy_euro/banking_and_finance/documents/200511-syria-humanitarian-aid-guidance-note_en.pdf
53. EU accuses Russia, China of COVID vaccine disinformation - News and current affairs from Germany and around the world (2021) - https://www.dw.com/en/top-stories/s-9097
54. COVID-19 origins report inconclusive: We must 'leave no stone unturned' – WHO chief, https://news.un.org/en/story/2021/03/1088702
55. COVID-19 Data Repository by the Center for Systems Science and Engineering (CSSE) at Johns Hop-kins University - https://github.com/CSSEGISandData/COVID-19
56. China says 'politicising' COVID origins impedes investigation (2021). ALJAZEERA - https://www.aljazeera.com/news/2021/5/27/china-says-politicising-covid-origins-impedes-investigation
57. Blanc, J. (2020), Coercion in the Time of the Coronavirus, Carnegie Endowment for International Peace, April 8. https://carnegieendowment.org/2020/04/08/coercion-in-time-of-coronavirus-pub-81495

კოვიდ-19-ის პანდემია და საქართველო: 2020 წლის გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის მდგომარეობების შედარებითი ანალიზი

ლაშა შამათავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა საქართველოზე, სახელდობრივ: 2020 წლის გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის მდგომარეობების შედარებითი ანალიზი.

პრობლემების სათავეებთან რომ გადავინაცვლოთ, მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყოველივე დაიწყო ჩინეთიდან, როცა 2019-2020 წლებში კორონავირუსის ჯგუფის ახალი შტამით ათასობით ადამიანი დაინფიცირდა, ჰუბეის პროვინციის მთავარ ქალაქ უჰანში.

საწყის ეტაპზე მსოფლიოს მოსახლეობამ ეს ინფორმაცია შედარებით მშვიდად მიიღო. თუმცა, რამდენიმე კვირის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და ჩვენ მოწმე გავხდით თუ რამხელა პანიკამ მოიცვა მსოფლიო საზოგადოება. თითქმის ყველა ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და კაცობრიობამ "უხილავ მტერთან" ბრძოლა დაიწყო.

კოვიდ 19-ის აფეთქების საწყის ეტაპზევე (დაახლოებით 2 თვეში) ჩინეთმა შეძლო შეეჩერებინა ვირუსის აქტიური გავრცელება თავის ტერიტორიაზე. თუმცა, ამავდროულად ვირუსი გავრცელდა ევროპის წამყვან ქვეყნებში, როგორებიცაა

იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. მოგვიანებით კი ინფიცირებულთა რაოდენობით პირველადგილოსანი აშშ გახდა.

2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კოვიდ-19-თან დაკავშირებით ჯერ პანდემიის საფრთხე გამოცხადდა, 11 მარტს კი უშუალოდ პანდემიის კვალიფიკაცია მიენიჭა.

კოვიდ-19-ის გამოჩენით კიდევ უფრო მეტად გადაიკვეთა ეკონომიკის, ჯანდაცვის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხები და გამოვლინდა ამ სფეროების ურთერთგადაჯაჭვულობა.

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა გლობალური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. COVID-19 პანდემიის გამო შეფერხდა ეკონომიკური აქტივობა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ქვეყნებს შორის ჩაიკეტა საზღვრები, დაიხურა სავაჭრო ობიექტები და სამუშაო სივრცეების უმეტესობა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე.[40]

2020 წლის გაზაფხულს ბევრი მოულოდნელი სიახლე ერთვოდა თან. მსოფლიო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წინაღობების დაძლევა და მათთან გამკლავებისთვის ახლებური გზების ძიება მოუწია. მათი უმეტესობა იმყოფებოდა თვითიზოლაციაში, სწავლობდნენ როგორ დაეცვათ ჰიგიენის წესები, ბევრ სიახლეს იგებდნენ სხვადასხვა ინფექციური თუ ვირუსული დაავადებების, ახალი ტექნოლოგიების (5G), ხელოვნური ინტელექტის შესახებ, მუდმივად ეცნობოდნენ გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს და აკვირდებოდნენ მოვლენების განვითარებას.

---

[40] ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - I კვარტალი, 2020

https://www.mof.ge/images/File/2020-publikaciebi/kvartaluri/Outlook%202020Q1_GEO.pdf

როგორც ცნობილი ისტორიკოსი და მწერალი იუვალ ნოახ ჰარარი წერს, კაცობრიობა გლობალური კრიზისის წინაშე დგას და გადაწყვეტილებები, რომელსაც მთავრობები და საზოგადოება მიიღებენ ბევრ ცვლილებას მოუტანს სამყაროს. აქ საუბარია, არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემაზე, არამედ ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და კულტურაზეც. ჰარარი აღნიშნავს იმასაც, რომ ჩვენს ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს გრძელვადიანი შედეგები მოჰყვება, ამიტომ რიგი ალტერნატივების შერჩევისას დიდი სიფრთხილე გვმართებს.[41]

საბოლოო ჯამში, ცხადი გახდა, რომ მსოფლიო არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო და რომ გარკვეული ცვლილებები მსოფლიო წესრიგში გარდაუვალი და აუცილებელია. აღნიშნულ თემაზე დისკუსიები და მსჯელობა დღესდღეობით ინტენსიურ ფაზაში შედის.

კოვიდ-19-ის პანდემია და საქართველო: 2020 წლის გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის მდგომარეობების მიმოხილვა

ვინაიდან, 2020 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში საქართველოში კოვიდ-19-ის გავრცელების მინიმალური შემთხვევები დაფიქსირდა, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო ქვეყნად მოგვევლინა ვირუსთან გამკლავების თვალსაზრისით. ამ პერიოდში საქართველოში დღის განმავლობაში, დაახლოებით 50-მდე შემთხვევა ფიქსირდებოდა. აღნიშნული მაჩვენებელი, მეზობელი ქვეყნის - სომხეთის შემთხვევაში 20-30-ჯერ მეტი იყო. შედეგად, 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

[41] Harari, N. Y. (2020). The world after coronavirus - https://www.ft.com/content/19d90308-6858-11ea-a3c9-1fe6fedcca75

საქართველოში ჯამურად დაფიქსირდა 1500-მდე შემთხვევა (**გრაფიკი №1**),[42] ხოლო სომხეთში - თითქმის 44 000 (**გრაფიკი №2**).[43]

გრაფიკი №1: კოვიდ-19-ის შემთხვევები - საქართველო.



გრაფიკი №2: კოვიდ-19-ის შემთხვევები - სომხეთი.

---

[42] Worldometer - Total Coronavirus Cases in Georgia - https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/

[43] Worldometer - Total Coronavirus Cases in Armenia - https://www.worldometers.info/coronavirus/country/armenia/



ხოლო, თუ გადავხედავთ დღიურ მონაცემებს, საქართველოში თებერვალი-აგვისტოს მონაკვეთში, დღეში საშუალოდ ფიქსირდებოდა 20 შემთხვევა.[44] რაც სომხეთის შემთხვევაში შემდეგნაირად გამოიყურებოდა - თებერვალი-მაისის პერიოდში დღიური შემთხვევების რიცხვი 20-დან 500-მდე გაიზარდა, რაც უფრო იმატებს ივნისი-აგვისტოს თვეებში და აღნიშნული მაჩვენებელი დღიურად 700-მდე იზრდება.[45]

ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას წარმოდგენა შეექმნა, რომ ქართველები ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული, თანმიმდევრული და ორგანიზებული საზოგადოება ვართ და რომ ამ თვალსაზრისით, შესაძლოა თვით ჩინეთსაც კი გავეჯიბროთ, სადაც გაზაფხული-ზაფხულის მონაკვეთში, საერთო სტატისტიკური მაჩვენებელი კოვიდ-ინფიცირებულებისა 80 ათასიდან 85 ათასამდე მერყეობდა.[46]

---

[44] Worldometer - Daily New Cases in Georgia - https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/

[45] Worldometer - Daily New Cases in Armenia - https://www.worldometers.info/coronavirus/country/armenia/

[46] Worldometer - Total Coronavirus Cases in China - https://www.worldometers.info/coronavirus/country/china/

ამასთან, პარალელურად ძალიან პოპულარული გახდა წარმოდგენა საქართველოს მთავრობის ეფექტური ფუნქციონირებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის უნარების შესახებ. მსგავსი რამ მოსალოდნელიც კი იყო, რადგან 2020 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში შემთხვევების ზრდა მინიმალური იყო, თებერვლიდან სექტემბრამდე კი ინფიცირებულთა რიცხვი მხოლოდ და მხოლოდ 1500-მდე ავიდა.[47]

სიტუაცია შეიცვალა 2020 წლის შემოდგომის დადგომისთანავე. თუ იქამდე საქართველო საუკეთესო ქვეყნებს შორის იყო მაჩვენებლების მიხედვით (სიკვდილიანობა, ტესტირება და სხვ.), 1 სექტემბრიდან მოყოლებული, 2 თვის განმავლობაში, ვითარება შეიცვალა და იმ ქვეყნების რიგში გადაინაცვლა, რომელთაც ყველაზე ცუდი შედეგები ჰქონდათ.

დღეის მონაცემებით (15 მაისი, 2021წ.) საქართველოში დაფიქსირებულია 340 ათასზე მეტი შემთხვევა, ხოლო სომხეთში - 222 ათასამდე (**გრაფიკი №3**).[48]

გრაფიკი №3: კორონავირუსის შემთხვევათა საერთო სტატისტიკური მონაცემები - საქართველო, სომხეთი.

Country, Other	Total Cases	New Cases	Total Deaths	New Deaths	Total Recovered	Active Cases
Georgia	340,330	+1,015	4,682	+28	321,928	13,720
Armenia	222,269	+130	4,411	+11	211,957	5,901

რომ შევხედოთ NDI-ის 2020 წლის ივნისის და 2020 წლის დეკემბრის კვლევით მონაცემებს, ამ ანგარიშების მიხედვითაც საკმაოდ კარგად ჩანს არსებულ საკითხთან

[47] Worldometer - Total Coronavirus Cases in Georgia - https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/

[48] Worldometer - Reported Cases and Deaths by Country or Territory - https://www.worldometers.info/coronavirus/#countries

მიმართებაში მდგომარეობის ცვლილება. 2020 წლის ივნისის გამოკითხვების შედეგად დგინდება, რომ მოსახლეობის 73%-ის აზრით, სახელმწიფო და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები საკმაოდ კარგად გაუმკლავდნენ სირთულეებს და საქართველოს დაბალი მაჩვენებლები მათი სწორად გადადგმული ნაბიჯების დამსახურება იყო.[49] თუმცა, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ 2020 წლის დეკემბრის მონაცემებს აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია და უკვე მოსახლეობის 60% თვლის, რომ საქართველოს მთავრობა კარგად გაუმკლავდა კოვიდ-სიტუაციას, საზოგადოების 33% კი მათ მუშაობას უარყოფითად აფასებს.[50]

შემოდგომიდან სიტუაციის გაუარესებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში მუსირებდა მოსაზრება, რომ ეს პროცესი შეიძლებოდა ნაწილობრივ მართული და დაგეგმილი ყოფილიყო ხელისუფლების მიერ, რათა შექმნილი სიტუაცია მმართველ პოლიტიკურ ძალას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უპირატესობის მოსაპოვებლად გამოეყენებინა.

ამ საკითხთან მიმართებაში, თუ გადავხედავთ NDI-ის კვლევით მონაცემებს, დავინახავთ თუ რაოდენ მკვეთრად იცვლება საზოგადოების ქართული ოცნებისადმი დამოკიდებულება. თუ 2019 წელს საზოგადოების მცირე ნაწილი, მხოლოდ - 28% თვლიდა, რომ ქართულ ოცნებას შესწევს ძალა ჯანდაცვის სფეროში არსებული სირთულეები დაძლიოს,[51] კოვიდ-19-ის პირველი ტალღის გასვლის შემდეგ

---

[49] საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2020 წლის ივნისის გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20Poll%20Results_June_2020_Final%20Version_GEO.pdf

[50] საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2020 წლის დეკემბერი გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202020%20Poll_GEO_FINAL.pdf

[51] საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202019_Public%20Presentation_GEO_VF.pdf

ჩატარებულ გამოკითხვებში ეს რიცხვი მკვეთრად იზრდება და საზოგადოების 73% ფიქრობს, რომ მსგავსი მდგომარეობა (კორონავირუსის გავრცელების და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლები) ძირითადად მთავრობის და ექიმების მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯების შედეგია.[52](**გრაფიკი №4**). თუმცა, თუ ჩვენ ასევე შევხედავთ არჩევნების შემდგომი პერიოდის შეფასებებს, აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ მაღალია და მოსახლეობის 68% კვლავ დადებითად აფასებს სახელმწიფოს ქმედებებს კოვიდ სიტუაციის მართვასთან მიმართებაში.[53]

გრაფიკი №4: პანდემია საქართველოში.

[52] საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2020 წლის ივნისის გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20Poll%20Results_June_2020_Final%20Version_GEO.pdf

[53] საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო. - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Public%20Opinion%20Poll_February%202021_GEO_Final.pdf



ვფიქრობ, ზემოხსენებული ვერსიის (შექმნილი სიტუაციის გამოყენება მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უპირატესობის მოსაპოვებლად) ბოლომდე გამორიცხვა დღეისთვის, ჯერ-ჯერობით, შეუძლებელია, მაგრამ ეს ორი რადიკალურად განსხვავებული კონდიცია (2020 წლის გაზაფხულ-ზაფხულის და შემოდგომა-ზამთრის) შეიძლება ქართული მენტალიტეტისა და კულტურული ფაქტორების თავისებურებების გათვალისწინებითაც აიხსნას.

2020 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში კოვიდ-19-ის გავრცელების დაბალი მაჩვენებელი სავარაუდოდ გამოიწვია იმან, რომ მაშინ საზოგადოებაში ამ ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია არსებობდა და იმაზე საშიშად მიიჩნეოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს ვირუსი გრიპის ვირუსზე მხოლოდ და მხოლოდ 2-3-ჯერ უფრო საშიშია, საზოგადოებაში არსებული პანიკა ჩაცხრა და ქართველებმა გამოავლინეს მათთვის

დამახასიათებელი ბუნებრივი თვისებები, პირველ რიგში - წესების უგულებელყოფა, თუკი ძლიერი სადამსჯელო და რეგულაციური მექანიზმები არაა ჩართული.

2020 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის შედეგებს კონტრასტი შეიძლება აიხსნას ემზარ ხვიჩიას კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის გამოყენებით.

21-ე საუკუნის დასაწყისში ემზარ ხვიჩიამ შექმნა ახალი მეცნიერული პროდუქტი - კვანტური რელატივისტური ნოოლოგია (შემდგომში უბრალოდ ნოოლოგია), რომლის მიხედვით არსებობს ოთხი სხვადასხვა ტიპის (კლასის) ერი: ცხრომის, ფორმის, ძლევის და მართვის კლასის ერები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ სტატიაში ტერმინს "ერი" ვიყენებ მხოლოდ და მხოლოდ ნოოლოგიური მნიშვნელობით.

ცხრომის მანიის კლასის ერებშია ლიდერია აშშ, ამ კლასში არიან ფრანგები, ინგლისელები და სხვ.

ფორმის მანიის კლასის ერებში ლიდერია ჩინეთი, ამავე კლასში არიან გერმანელები, კორეელები, იაპონელები და სხვ.

ძლევის მანიის კლასის ერებში ლიდერია რუსეთი, ამავე კლასში არიან სერბები, მონღოლები და სხვ.

მართვის მანიის კლასის ერებში ლიდერობის პრეტენზია გვაქვს ქართველებს და ირლანდიელებს, ამავე კლასში არიან შოტლანდიელები, კორსიკელები და სხვ.

ცხრომის მანიის ერისთვის დამახასიათებელია მომავალზე ორიენტაცია, ფორმის მანიის ერი კი წარსულზეა ორიენტირებული, ძლევის მანიის ერში წარსული და მომავალი თანაბრად მნიშვნელოვანია და თან ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მართვის მანიის ერები კი ძირითადად სიტუაციური მოქმედებებით გამოირჩევიან. ამავე დროს, მართვის მანიის ერებში შეზღუდულია ინსტიტუციური განვითარების მასშტაბები, სხვა ერებს კი პრაქტიკულად შეუზღუდავად შეუძლიათ ინსტიტუციური განვითარება და დიდი სახელმწიფოების გენერირება.

ფორმის მანიის კლასის ერებს შეუძლიათ წესების სრულყოფილად დაცვა (როგორც ეს მოხდა ჩინეთში, სადაც ვირუსის გავრცელება აღკვეთეს მკაცრი წესების შემოღებით და დაცვით), ხოლო ცხრომის მანიის ერები ძირითადად მიზნობრივად მოქმედებენ, თუმცა, მათთან ძნელია ადამიანის ინდივიდუალური უფლებების შემზღუდველი წესების, როგორც შემოღება, ასევე განხორციელება.

განსაკუთრებით ძნელია მკაცრი წესების შემოღება-დაცვა მართვის მანიის კლასის ერებში (ჩვენც ამ კლასის ერი ვართ). შესაბამისად, ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ, რომ ერთია, რა წესებია შემოღებული, მეორეა როგორ ხდება ამ წესების დაცვა.

ჩვენმა მთავრობამ და ჯანდაცვის სპეციალისტებმა გამოცდილებაზე დაყრდნობით იციან, რომ უნდა შემოიღონ წესების ერთი ჯგუფი, რათა მიიღონ გარკვეული სასურველი შედეგები. მაშინ, როცა მთელ ევროპაში პრაქტიკულად ყველა რეგულაციის 80-90%-ით ან მეტი სიზუსტით ხდება დაცვა, საქართველოში სულ სხვანაირად ხდებოდა პროცესების მართვა - ძირითადად ხდებოდა სიტუაციური რეაგირება, რაც სავსებით მოსალოდნელიც იყო და ოპტიმალურიც.

გამოყენებული მასალები და ინტერნეტ-რესურსები

1. ოპტიმალიზმი - ახალი პარადიგმა. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_46.html

2. რა დასკვნებს აქვეყნებენ გერმანელი მეცნიერები კორონავირუსით გარდაცვლილი პაციენტების გაკვეთის საფუძველზე. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/infeqciuri/13245-ra-daskvnebs-aqveyneben-germaneli-mecnierebi-koronavirusith-gardacvlili-pacientebis-gakvethis-safudzvelze.html

3. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2020 წლის ივნისის გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20Poll%20Results_June_2020_Final%20Version_GEO.pdf

4. საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202019_Public%20Presentation_GEO_VF.pdf

5. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2020 წლის დეკემბერი გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202020%20Poll_GEO_FINAL.pdf

6. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის შედეგები - NDI; CRRC საქართველო. - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Public%20Opinion%20Poll_February%202021_GEO_Final.pdf

7. ხვიჩია ე. ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია // გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი, 2004. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page.html

8. ხვიჩია, ე. (2020). ნოოლოგია - თვითკმარი არსებობის ლოგიკა - საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები. გამომცემლობა "ახალი პარადიგმა". თბილისი.

9. ხვიჩია, ე. (2004). ფსიქიკურ სტიქიათა თეორია და ციკლური ლოგიკა. http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page.html

10. "CORONAVIRUS DISEASE - COVID-19". ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://www.pluristem.com/coronavirus-disease-covid-19/

11. "Coronavirus update: Spain and Italy record lower daily deaths as hopes rise for COVID-19 containment". ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://www.abc.net.au/news/2020-04-05/coronavirus-updates-uk-reports-highest-daily-death-toll/12122446#5

12. "Estimated Influenza Illnesses, Medical visits, Hospitalizations, and Deaths in the United States — 2018–2019 influenza season". ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://www.cdc.gov/flu/about/burden/2018-2019.html

13. Fukuyama, F. (1992). The End of History and the Last Man, Free Press.

14. Harari, Y. N. (2020). Yuval Noah Harari: the world after coronavirus - Financial Times https://www.ft.com/content/19d90308-6858-11ea-a3c9-1fe6fedcca75

15. "The Coronavirus Could Reshape Global Order"., March 18, 2020. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://www.foreignaffairs.com/articles/china/2020-03-18/coronavirus-could-reshape-global-order

16. Worldometer - Daily New Cases in Armenia https://www.worldometers.info/coronavirus/country/armenia/

17. Worldometer - Daily New Cases in Georgia https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/

18. Worldometer - Reported Cases and Deaths by Country or Territory https://www.worldometers.info/coronavirus/#countries

19. Worldometer - Total Coronavirus Cases in Armenia https://www.worldometers.info/coronavirus/country/armenia/

20. Worldometer - Total Coronavirus Cases in Brazil https://www.worldometers.info/coronavirus/country/brazil/

21. Worldometer - Total Coronavirus Cases in China https://www.worldometers.info/coronavirus/country/china/

22. Worldometer - Total Coronavirus Cases in Georgia https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/

23. Worldometer - Total Coronavirus Cases in Georgia https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/

24. Worldometer - Total Coronavirus Cases in India https://www.worldometers.info/coronavirus/country/india/

25. Worldometer - Total Coronavirus Cases in the United States https://www.worldometers.info/coronavirus/country/us/

26. "В Германии много случаев заболевания коронавирусом, но относительно мало умерших. Почему — объясняет ведущий немецкий вирусолог Кристиан Дростен Главное из интервью Zeit в переводе «Декодера»". 28 марта 2020. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://meduza.io/feature/2020/03/28/v-germanii-mnogo-sluchaev-zabolevaniya-koronavirusom-no-otnositelno-malo-umershih-pochemu-ob-yasnyaet-veduschiy-nemetskiy-epidemiolog-kristian-drosten

27. "Западная промышленность начинает бегство из Китая". ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://vz.ru/economy/2020/4/19/1034923.html

28. “Греф и Гейтс уже всё решили”. ბოლო ნახვა 14/ივნ/2020. ბმული: https://youtu.be/VLVFidQ4-G4?t=450

29. “События сплетаются в единую сеть. Дмитрий Перетолчин”. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://www.youtube.com/watch?v=6MxxicJdA2E

30. “Спаситель Великобритании предлагает мировое временное правительство”. ბოლო ნახვა 13/ივნ/2020. ბმული: https://ria.ru/20200328/1569257083.html